პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
27 სექტემბერი
1939 წ.
№ 222 (5622)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი გამარჯვებებისაკენ

1939 წლის 17 სექტემბრის დილამ, როდესაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა გადაეწყვიტა კეთილშობილი ამოცანა პოლონელი მაგნატების უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლებისა, დასაბამი მისცა ახალ მძლავრ პატრიოტულ აღფრთოვანებას ჩვენს ქვეყანაში. ამ აღფრთოვანების ნიშნით გადიან დღეები, როდესაც, საბჭოთა მთავრობის მოწოდებისა და მთავარსარდლობის ბრძანების ერთგული, მუშურ-გლეხური წითელი არმია ღირსეულად ასრულებს თავის დიად განმათავისუფლებელ მისიას.

სოციალისტურ სახელმწიფოში არმია და ხალხი ერთიან ძალას წარმოადგენენ. ამ დღეებმა ცხადჰყვეს არმიის ორგანული სისხლხორცეული კავშირი მშრომელთა მასებთან. მშრომელები სოციალისტური ყოფაქცევის რკინისებურ კანონად იღებენ ამხანაგ მოლოტოვის სიტყვებს:

„ჩვენი ამოცანა ამჟამად, თვითეული მუშისა და გლეხის ამოცანა, თვითეული მოსამსახურისა და ინტელიგენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსნად და თავგანწირულად იშრომოს თავის პოსტზე და ამით დახმარება გაუწიოს წითელ არმიას“.

ამ მოწოდებამ უაღრესად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ხალხში. შრომითი გმირობით არის აღბეჭდილი ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების ცხოვრება. მუშებისა და მუშა-ქალების გადასვლა მრავალი დაზგის მომსახურებაზე, შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტურობის ამაღლება ახალ ხასიათს, ახალ მაღალ თვისებებს ანიჭებენ სტახანოვურ მოძრაობას. განსაკუთრებული ძალით ჩაღდება ამჟამად საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრება.

პოლიტიკური და მორალური ზრდის პროცესს ვხედავთ ახლანდელ დღეებში საბჭოთა სოფელშიც. ისევე როგორც მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა აღფრთოვანებით იღებს საბჭოთა მთავრობის მოწოდებას, კონკრეტული საქმეებით ეხმაურება ამ მოწოდებას. ტრაქტორისტი, რომელმაც გაარკვეა გამომუშავება და ამით შესცვალა არმიაში გაწვეული ამხანაგი; კოლმეურნე ქალი, რომელმაც იკისრა ის სამუშაო, რასაც წინათ მამაკაცი ასრულებდა, —ასეთი ფაქტები მასობრივი გახდა სოფლად. ადამიანები თავიანთ შრომას გმირობად აქცევენ. სწორედ გმირობად მიაჩნია და გმირობად აფასებს წითელარმიელი შრომის რეკორდს, რომელსაც იძლევიან მუშა და გლეხი. ამას ბრწყინვალედ ამტკიცებს გმირობა უზბეკეთის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე-ქალებისა, რომლებმაც ფერგანის დიდი არხი ააგეს. „მას შემდეგ, რაც ხალხში შრომა წარმოიშვა, არასოდეს იგი ასე დიადი არ ყოფილა“, — ნათქვამია მშენებელთა წერილში ამხანაგ სტალინისადმი.

ფერგანის დიდი არხის მშენებლებმა თავისი მაგალითით გაიტაცეს სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნენი. არხების მშენებლობა მოასწავებს ადამიანთა შორის ახალი სოციალისტური ურთიერთობის გამარჯვებას, კოლექტიური შრომის ტრიუმფს.

მიწაზე პატიოსანი, თავგანწირული კოლექტიური შრომის უხვ ნაყოფს იმკის წელს ჩვენი საბჭოთა სოფელი. ლაპარაკია მოსავალზე. უკვე წინასწარი ცნობებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კარგ მოსავალს აიღებს. იმ რაიონებში, რომლებმაც მოსავლის აღება დაამთავრეს, უკვე გამოირკვა მოსავლის ოდენობაც და კოლმეურნეთა შემოსავლის ოდენობაც. პრესაში მოყვანილი იყო ცნობები იმის შესახებ, თუ რა უხვი მოსავალია ალტაის მხარის ბელოგლაზოვოს რაიონში. რაიონმა სრულიად - საკავშირო პოპულარობა მოიპოვა, როგორც სოფლის მეურნეობაში შესანიშნავი ეფრემოვული მოძრაობის სამშობლომ. მოძრაობის ინიციატორების რეკორდებს წელს გადააჭარბეს. ამხ. ეფრემოვისა და ჩუმანოვის სახელებს მიემატა მათი მოწაფეების სახელები. სლავგოროდის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მაისის დილის“ წევრმა ამხ. ჩერნოგოროვმა მიიღო 78,2 ცენტნერი მარცვალი, ანდრეევსკოეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „წითელი ოქტომბრის“ წევრმა ამხ. მოროზოვმა—89 ცენტნერი.

აი ცნობები იმ კოლმეურნეობის შესახებ, რომელიც სულაც არაა ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში. კრასნოიარსკის მხარის უსტ-აბაკანის რაიონის სასოფლო - სამეურნეო არტელმა „1 მაისმა“ მიიღო საშუალო მოსავალი ჰექტარზე 15 ცენტნერი მარცვალი და ჰექტარ სათესლე ნაკვეთზე—23 ცენტნერი. არტელმა ვადამდე შეასრულა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, მარცვალჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში ჩააბარა 11.288 ცენტნერი პირველხარისხოვანი მარცვალი. კოლმეურნეები ვარაუდობენ, რომ კოოპერაციას მიჰყიდიან სულ ცოტა 6 ათას ცენტნერ პურეულს. შრომადღეზე კოლმეურნე იღებს 8 კილოგრამ პურეულს და 2 მანეთსა და 50 კაპ. ფულად.

ამგვარად, ეფრემოვული რეკორდებით სახელგანთქმულ რაიონებშიც და ნაკლებადცნობილ კოლმეურნეობაშიც ჩვენ ზრდისა და განუხრელი წინსვლის ერთსადაიმავე პროცესს ვხედავთ.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორთაგანს, რომელმაც განსაზღვრა მაღალი საზოგადოებრივი და შრომითი აღფრთოვანება საბჭოთა სოფელში ამ შემოდგომაზე. გამოფენამ მოწინავე გამოცდილებით გაამდიდრა ჩვენი კოლმეურნეობანი. ასი ათასობით გლეხები, რომლებმაც გამოფენა დაათვალიერეს, ამ გამოცდილების პროპაგანდისტები გახდნენ. გამოფენა, უეჭველია, ნაყოფიერ გავლენას მოახდენს სოფლის ცხოვრებაზე. იგი შეჯიბრების კოცონს აჩაღებს კოლმეურნეობებში.

ამჟამად კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პასუხსაგებ პერიოდში იმყოფებიან. მთავრდება მოსავლის აღება. მიმდინარეობს საშემოდგომო თესვა. ხდება მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტება. სოფელი ზამთრის შესახვედრად ემზადება. თვითეული ეს სამეურნეო - პოლიტიკური კამპანია დიდ ყურადღებას, სიზუსტესა და მობილიზებულობას მოითხოვს.

კარგი მოსავალი სავსებით უნდა იქნას რეალიზებული. არავითარი დაყოვნება მოსავლის აღებაში, არავითარი სულ მცირე დანაკარგიც კი! ეს მოთხოვნა კანონი უნდა გახდეს თვითეული კოლმეურნეობისათვის.

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს სსრ კავშირის მიწსახკომის ცნობას მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ. მთელი რიგი ოლქები და მხარეები ჩამორჩნენ მოსავლის აღების სამუშაოებში. მაგალითად, კრასნოიარსკის მხარეში პირველი თოვლი მოვიდა; მიუხედავად ამისა, მოსავლის აღებას ეს მხარე ჯერ კიდევ ნელი ტემპით აწარმოებს. 20 სექტემბრისათვის ამ მხარეში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 85 პროცენტით. შეუწყნარებლად ჩამორჩებიან იაკუტიის ასს რესპუბლიკა, ჩიტას, ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქები.

საშემოდგომო თესვაში, ისევე, როგორც მოსავლის აღებაში, ძვირფასია თვითეული საათი. დროულად და მაღალხარისხოვანად დათესვა ნიშნავს მომავალ წელს უხვი მოსავლის აღებას. ეს ელემენტარული აგროტექნიკური ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, ჯერ ისევ გვიხდება ზოგ ვისმე მოვაგონოთ ეს. საშემოდგომო თესვა მთელ რიგ ოლქებში შეიძლებოდა უფრო ინტენსიურად ჩატარებულიყო. ვორონეჟისა და კურსკის ოლქები, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთი კლიმატური, გეოგრაფიული, ეკონომიური და სხვა პირობებით მსგავსი ოლქები არიან. მაგრამ ვორონეჟის ოლქში 20 სექტემბრისათვის თესვის გეგმა 88 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო კურსკისაში — 80 პროცენტით. 8 პროცენტით ჩამორჩენა სერიოზული ჩამორჩენაა. საშემოდგომო თესვაში, მზრალად ხვნაში საჭიროა მტკიცე ბრძოლა ვადებისა და ხარისხისათვის.

წლევანდელი შემოდგომით ახალი ეტაპი იწყება საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებაში. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანეს მეცხოველეობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება დაწესებულ ვადებში უნდა შესრულდეს. თუ კოლმეურნეობას მეცხოველეობის ფერმა არა აქვს, იგი არასრულფასოვანი კოლმეურნეობაა. ამავე დროს კი, ისეთ ოლქში, როგორიც იაროსლავლის ოლქაა, სადაც ყველა პირობა მოიპოვება მეცხოველეობის განვითარებისათვის, ფერმა არა აქვს 469 კოლმეურნეობას, ხოლო 487 კოლმეურნეობას თავიანთ ფერმებში მხოლოდ მოზარდეული ან მწარმოებლები ჰყავს. დაახლოებით სამიათას კოლმეურნეობას სულ უმნიშვნელო განსაზოგადოებული ჯოგი ჰყავს: ერთიდან ცხრა ძროხამდე.

კოლმეურნეობები, რომლებშიც სახელმწიფო გეგმით დასახულია მეცხოველეობის ფერმების მოწყობა, მოვალენი არიან დააჩქარონ ამ ფერმების დაკომპლექტება. საჭიროა მიღებულ იქნას ყოველივე ღონისძიება იმისათვის, რომ საკოლმეურნეო ჯოგს შევუქმნათ ნორმალური პირობები ზამთარში ბაგაზე დაყენების პერიოდისათვის.

მოსავლის აღების დამთავრებაც, საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებაც, მზრალად ხვნაც, მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტებაც და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებაც კოლმეურნეობათა საბრძოლო ამოცანებია. მათი წარმატებით გადაწყვეტის გასაღებს წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრება ოლქებს, რაიონებს, კოლმეურნეობებს, ბრიგადებს შორის, ცალკეულ კოლმეურნეებს შორის! შეჯიბრებით გამსჭვალული უნდა იყოს კოლმეურნეობის მთელი პრაქტიკა!

ჩვენ ვიმყოფებით ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კამპანიის წინადღეებში. არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები წარმოადგენენ სოფლის პოლიტიკური სიმწიფის გამოცდას, სოფლის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მისი ინტელიგენციისა და მისი აქტივის გამოცდას. ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ თვითეული სოფლსაბჭო, თვითეული კოლმეურნეობა არჩევნებს შეეგებოს ჩინებული მაჩვენებლებით თავისი მუშაობის ყველა დარგში.

ბოლშევიკის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის, თუ როგორ შეუხამოს დიდი რამ მცირეს, იცის საერთაშორისო მასშტაბის მოვლენისა და ადგილობრივი მოვლენის დანახვა, იცის კერძოსა და საერთოს შორის კავშირის დანახვა. დღევანდელი მომენტი ყველა კომუნისტისაგან, ყველა არაპარტიულ ბოლშევიკისაგან მოითხოვს მართებულად ესმოდეს თავისი როლი, იცოდეს ხელმძღვანელობა, ადამიანთა გაძღოლა. სოფლის კომუნისტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა სულ უფროდაუფრო მზარდ პოლიტიკურ აქტივობას. კოლმეურნეთა შრომითი გმირობა მათ უნდა წარმართონ კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

„პრავდის“ მოწინავე, 26/IX.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი ფონ-რიბენტროპის ჩამოსვლა მოსკოვს

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით, ა.-წ. 27 სექტემბერს მოსკოვს ჩამოდის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ფონ-რიბენტროპი იმისათვის, რომ სსრ კავშირის მთავრობასთან განიხილოს პოლონეთის ამბებთან დაკავშირებული საკითხები.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ მოსკოვს ჩამოვიდა

25 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ, რომელსაც ახლავან: თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე ბ-ნი ჯევად აჩიკალინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ფერიდუნ ჯემალ ეკრინი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორი ბ-ნი ზექი პოლარი.

კიევის ვაგზალზე ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს შეეგებნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. დ. კოროლიოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივანი ამხ. ა. ე. ბოგომოლოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, ქალ. მოსკოვის კომენდანტი პოლკოვნიკი ფ. ი. სუვოროვი, თურქეთის საელჩოს მთელი შემადგენლობა ელჩის ბ-ნ ალი ჰაიდარ აქტაის მეთაურობით, აგრეთვე ირანის ელჩი ბ-ნი საედი, ავღანეთის ელჩი ბ-ნი სულთან ახმედ-ხანი, ბულგარეთის ელჩი ბ-ნი ანტონოვი, საბერძნეთის ელჩი ბ-ნი მარკეტი, რუმინეთის ელჩი ბ-ნი დიანუ.

ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუსთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ა. ვ. ტერენტიევი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვი, რომელიც ბ-ნ სარაჯოღლუს შესახვედრად ოდესას გაემგზავრა.

კიევის ვაგზლის პერონი მორთული იყო საბჭოთა და თურქეთის ალმებით. (საქდესი).

დაჭერილია 10 მილიონზე მეტი ცენტნერი თევზი

საბჭოთა მებადურებმა წარმატებით შეასრულეს თევზის ჭერის გეგმა. საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობაში 20 სექტემბრისათვის დაჭერილია 10.677 ათასი ცენტნერი თევზი და ზღვის ნადირი — თითქმის ერთი მილიონი ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის.

კარგად მიდის თევზის ჭერა კასპიის, ჩრდილოეთ და შორეულ აღმოსავლეთის ზღვების აუზებში. ტრესტმა კამჩატკაზე (აკო) და დალისტნის ტრესტმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმა.

შორეულ აღმოსავლეთის ვეშაპისმჭერმა ფლოტილიამ მოჰკლა 385 ვეშაპი. გასულ წელს 20 სექტემბრისათვის დაჭერილი იყო 159 ვეშაპი. (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის კოლეგია დაამტკიცა სახალხო კომისრის ამხ. **ზ. ა. შაშკოვის** თავმჯდომარეობით და შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **გ. ვ. ხარიტონოვი** (სახკომის პირველი მოადგილე), **ს. მ. ბაევი** (სახკომის მოადგილე), **ა. ა. ლუკიანოვი** (სახკომის მოადგილე), **პ. ვ. ჩერევკო**, (სახკომის მოადგილე), **ქ. ფ. მიასნიკოვი** (ცენტრალური სამმართველოს უფროსი), **მ. ნ. ჩებოტარევი** (ჩრდილოეთის სანაოსნოს უფროსი).

საქდესის ცნობა

სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის წარმოებული მოლაპარაკების შესახებ

რადგან ესტონეთის მთავრობის განმარტება ტალინის ნავსადგურში ინტერნირებული პოლონეთის წყალქვეშა ნავის გაურკვეველი მიმართულებით მიმალვის გარემოებათა შესახებ არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის დაიწყო მოლაპარაკება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ საბჭოთა წყლების უშიშროება ბალტიის წყლებში დამალული უცხოური წყალქვეშა ნავების დივერსიული მოქმედებისაგან.

ესტონეთის მთავრობის განმარტებით პოლონეთის წყალქვეშა ნავი ესტონეთის წყლებში შევიდა, როცა მას „მექანიზმები დაზიანებული ჰქონდა, რაც მის მოძრაობას აფერხებდა“. მაგრამ, გაუგებარია, როგორ გაექცა ამ პირობებში მცველებს დაზიანებული წყალქვეშა ნავი ესტონეთის დედაქალაქის ნავსადგურიდან. ყველაზე უფრო დასაჯერია, რომ ნავი შეაკეთეს ტალინში, ალბათ, იგი მოამარაგეს საწვავი მასალით და ამგვარად საშუალება მისცეს გაქცეულიყო.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ლენინგრადიდან მიღებული ცნობით დღეს ორ ადგილას დაინახეს უცნობი წყალქვეშა ნავების პერისკოპები ლუგის უბის რაიონში, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ სადღაც ესტონეთის ნაპირების მახლობლად რომელიღაც უცნობ წყალქვეშა ნავებს აქვთ თავისი ფარული ბაზა.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით, დამალული წყალქვეშა ნავების დივერსიული მოქმედებისაგან საბჭოთა წყლების უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

უცნობი წყალქვეშა ნავები საბჭოთა წყლებში

ლენინგრადი, 26 სექტემბერი (საქდესი). მზვერავი საბჭოთა გემების ცნობით, დღეს ლუგის უბის მახლობლად, სხვადასხვა ადგილას, დაახლოებით ერთდაიმავე დროს, 14 და 15 საათს შუა შენიშნულ იქნა წყალქვეშა ნავების ორი პერისკოპი. ბალტიის ფლოტის სარდლობამ აღნიშნულ პუნქტებში გაგზავნა წყალქვეშა ნავების გამანადგურებლები.

დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში

დასავლეთი უკრაინა, 25 სექტემბერი). დასავლეთ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები — დროებითი საქალაქო მმართველობანი და გლეხთა კომიტეტები დიდ მუშაობას ეწევიან ვაჭრობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის აღსადგენად. სკოლებში დაიწყო მუშაობა. მეცადინეობა უკრაინულ ენაზეა. გაიხსნა საავადმყოფოები, ღარიბებს უფასოდ მკურნალობენ.

ქალაქ კორეცის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული დროებით საქალაქო მმართველობას. მმართველობის თავმჯდომარემ ამხ. სევერინენკომ და მმართველობის წევრებმა — შაქრის ქარხნის ზეინკალმა ამხ. კუკლენკომ და მასწავლებელმა ამხ. დავიდოვიჩმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს.

შაქრის ქარხანაში გაიმართა მუშათა საერთო კრება, არჩეულია მუშათა კომიტეტი. ქარხნის მუშები დაუკავშირდნენ ახლო-მახლო სოფლების გლეხთა კომიტეტებს. ამჟამად გლეხები დარაზმულად შეუდგნენ ჭარხლის ამოთხრას პან ველინსკის ყოფილ პლანტაციებში და უკვე ეზიდებიან ქარხანაში.

ამას წინათ გულისამაჩუყებელი სცენა მოხდა ამ ქარხნის მუშათა კომიტეტში. აქ მოვიდა ღონემიხდილი მოხუცი სტეფანე პეტრუშინი. 19 წლის წინათ იგი, წითელი არმიის მე-14 ცხენოსანი დივიზიის მებრძოლი, ტყვედ წაიყვანეს და ნესტიანსა და ბნელ საპყრობილეში ჩააგდეს. მას 19 წელს აბუჩად იგდებდნენ პოლონელი ჯალათები. წითელმა არმიამ გაანთავისუფლა იგი. სტეფანე პეტრუშინი მოვიდა ქარხანაში სამუშაოდ.

— პანების მიერ წამებამ და აბუჩად აგდებამ, — ამბობს იგი, — ვერ გასტეხა ჩემი ნებისყოფა. სიხარულით ვიმუშავებ ხალხის საკეთილდღეოდ.

კორეცის დროებითმა საქალაქო მმართველობამ გლეხთა კრებები მოაწყო სოფელ ზაპარაში, რაჩკიში, ბაბინოში და სხვ. აქ მოეწყო გლეხთა კომიტეტები და მილიცია.

საინტერესო შემთხვევა მოხდა სოფელ რაჩკიში. გლეხების საერთო კრებაზე მოვიდა გადაცმული პოლონელი მემამულე ტურჩინსკი. გლეხებმა აჰხადეს მას ნიღაბი და მილიციაში გაჰგზავნეს.

უდიდესი აღფრთოვანებით მუშაობენ მუშები, გლეხები, ხელოსნები შლიახტის მიერ დანგრეული გზების, ხიდებისა და სახლების აღსადგენად.

გუშინ ქალაქ როვნოში ამუშავდა 4 წისქვილი, საპნის 2 ქარხანა, აგურისა და ფანერის ქარხნები. ამ უახლოეს დღეებში ამუშავდება საპნის 2 ქარხანა. ამ საწარმოებს ხელმძღვანელობენ საერთო კრებებზე არჩეული ქარხნის სამმართველოები და მუშათა კომიტეტები. დროებითმა მმართველობამ კრებები მოაწყო ქალაქის ყველა საწარმოში. გაიმართა აგრეთვე მასწავლებელთა თათბირი, რომელსაც 100 კაცი დაესწრო. მასწავლებლები თხოულობენ უკრაინული სახელმძღვანელოები და პროგრამები გამოგვიგზავნეთო. ექიმების კრებაზე 40-მდე კაცი იყო. დროებითი მმართველობა ეძებს ბინას ქალაქის სამკითხველოსათვის.

ქალაქში ნორმალური ცხოვრებაა. სკოლებში მეცადინეობა მიმდინარეობს. სამ კინო-თეატრში, რომელიც ყოველთვის გაჭედილია ხალხით, საბჭოთა სურათებს უჩვენებენ.

ქალაქ როვნოს სატელეფონო კვანძმა მოაგვარა სატელეფონო კავშირი ქალაქ პინსკთან, სარნისთან, იანოვთან და ლუცკთან. ამჟამად კავშირი მყარდება ქალაქ ვილნოსა და ლიუბლინთან.

ქალაქ ლუცკში გამოდის გაზეთი „ჩერვონი პრაპორ“. ქალაქის მოსახლეობა მრავალი წლის შემდეგ პირველად მიიღებს გაზეთს თავის დედაენაზე.

დროებითი მმართველობა შეუდგა მუშაობას

ბარანოვიჩი, 25 სექტემბერი (საქდესი). ქალაქ ბარანოვიჩის დროებითი მმართველობა შეუდგა მუშაობას. უკვე შესდგა ქარხანა „ექსპორტის“ მუშათა და მოსამსახურეთა კრება, რომელსაც 300 კაცი დაესწრო. გაიმართა აგრეთვე კრებები ხე-ტყის ორ ქარხანაში, რკინიგზის დეპოში, მასწავლებელთა და ფოსტის მუშაკთა. მშრომელები ყველგან მადლობით იხსენიებენ წითელ არმიას, საბჭოთა კავშირსა და მის მთავრობას.

დროებით სამმართველოში დაიწყო მუშაობა საბინაო, სასკოლო, საფინანსო, სასურსათო, ტექნიკურმა განყოფილებებმა და აგრეთვე უმუშევრობასთან მებრძოლმა ჯგუფმა. (აქ ათასზე მეტი უმუშევარია).

დროებითმა მმართველობამ გადასწყვიტა დაამთავროს ბანკისა და სკოლის შენობის აგება და გააუმჯობესოს ქალაქის გზები.

დღეს დროებითი მმართველობა იწვევს დაწყებითი და საშუალო სკოლების დირექტორებისა და გამგეების თათბირს. განიხილავენ სასწავლო გეგმისა და სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. დაწყებულია მზადება, რათა სკოლებში მშობლიურ ენაზე შემოიღონ სწავლება.

კრებები გაიმართა აგრეთვე ბარანოვიჩის მაზრის სოფლებში. არჩეულია გლეხთა კომიტეტები, რომელთაც იკისრეს სოფლებში წესრიგის დამყარება. გლეხთა კომიტეტები შეუდგნენ მოჯამაგირეებისა და უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწების დარიგებას. ღარიბ გლეხებს შორის ნაწილდება პირუტყვი.

სოფლებში უდიდესი აღფრთოვანებაა. ყოველდღე, დილიდან საღამომდე, დროებით სამმართველოებში მოდიან გლეხების გამოგზავნილები. ისინი მოგვითხრობენ იმ უდიდესი ენტუზიაზმის შესახებ, რომლითაც გლეხები შეხვდნენ წითელი არმიის მისვლას დასავლეთ ბელორუსიაში.

მესაზღვრე შილნიკოვის ნაამბობი

მინსკი, 25 სექტემბერი (საქდესი). სანაპირო ჯარის მებრძოლმა ალექსანდრე კუზმას-ძე შილნიკოვმა საქდესის კორესპონდენტს უამბო იმ განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთერთი ეპიზოდი, რომელსაც წითელი არმია აწარმოებს დასავლეთი ბელორუსიის მშრომელთა გასანთავისუფლებლად პანების უღლისაგან.

— ჩვენ, მებრძოლ-მესაზღვრეებს მოგვცეს საბრძოლო ამოცანა — პირველნი გადავსულიყავით პოლონეთის საზღვარზე, გადაგვეჭრა მავთულხლართები და ხელთ გვეგდო პოლონეთის საყარაულოები. ჩვენ ჩუმად გადავედით კორდონზე. თვითეულ ჩვენგანს უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ გაეწმინდა გზა წითელი არმიის ნაწილების შეტევისათვის. გავიდა რამდენიმე წუთი. უცებ ღამის სიჩუმე დაარღვია ძაღლის ყეფამ. პოლონელმა გუშაგმა ვერ მოასწრო განგაშის ატეხა. იგი ჩუმად მოხსნეს ჩვენმა მებრძოლებმა. ძაღლის ყეფა ძლიერდებოდა. საყარაულოში შეშფოთდნენ. გავარდა თოფი. კოშკიდან აკაკანდა ტყვიამფრქვევი. ჩვენმა მებრძოლებმა უცებ ჩააჩუმეს იგი. ქვედანაყოფი ჯიქურად გაეშურა წინ. მეთაურმა უბრძანა ხუთ მებრძოლს, და მათ რიცხვში მეც, შევჭრილიყავით საყარაულოს ბინაში და გაგვენადგურებინა მტერი. ჩვენ დავიწყეთ კარების მტვრევა. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდნენ. ერთი ტყვია მომხვდა, მაგრამ მე განვაგრძობდი მეთაურის ბრძანების შესრულებას.

ჩვენ შევიჭერით კორიდორში. იქიდან პანებმა შემოგვიტიეს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენმა მარჯვე სროლამ და ჯიქურმა შეტევამ გასტეხა მტრის შეუპოვრობა. საყარაულო ლიკვიდირებულ იქნა. ცოცხლად დარჩენილი ოთხი პოლონელი ჯარისკაცი დაგვნებდა.

ვერ მოვასწარით ტყვეების გამოყვანა, რომ საყარაულოს ბინას მოუახლოვდა გლეხების ჯგუფი. მათ მოიყვანეს პოლონელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც გაქცეულიყვნენ ბრძოლის დროს.

პირველი შეტაკება ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. მებრძოლებმა საბრძოლო ნათლობა მიიღეს და მედგრად მიიწევდნენ წინ.

გლეხები გვეხმარებოდნენ მტრის განადგურებაში. დასავლეთი ბელორუსიის მთელი მოსახლეობა წითელ არმიაში თავის განმათავისუფლებელს ხედავს და, რითაც კი შეუძლია, დახმარებას უწევს მას.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა

1939 წლის 26 სექტემბერი

წითელი არმიის ნაწილებმა, რომელნიც განაგრძობენ წინსვლას სადემარკაციო ხაზისაკენ, 26 სექტემბრის განმავლობაში დაიკავეს ციხე **ოსოვეცი**, ქალაქები **ხოლმი**, **ზამოსტიე**, **რავა-რუსკა**, **სამბორი** და გამოვიდნენ შემდეგ ხაზზე: **რაიგოროდოკი**, **ოსოვეცი**, **სოკოლი** (35 კილომეტრზე ბელოსტოკის სამხრეთ - დასავლეთით), **მელეიჩიცი** (25 კილომეტრზე ბელსკის სამხრეთ - დასავლეთით), **ბელი**, **ხოლმი**, **ზამოსტიე**, **იავოროვი**, **სამბორი**, **ტურკი** (40 კილომეტრზე დროგობიჩის სამხრეთ-დასავლეთით).

დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში პოლონეთის ჯარის ნაშთების წინააღმდეგობის ლიკვიდაციისას წითელი არმიის ნაწილებმა განაიარაღეს და ტყვედ წამოიყვანეს ბრესტ-ლიტოვსკსა და ვლოდავას შორის რკინიგზის 30 ეშელონში 25.000-მდე კაცი. გარდა ამისა კობრინის სამხრეთ რაიონში ტყვედ წამოიყვანეს 1000 კაცი, ხოლმის რაიონში—8.000 კაცი და 1000 ცხენი და იანოვკის რაიონში (20 კილომეტრზე ხოლმის სამხრეთ-დასავლეთით) 2.500 კაცი, საჭურველით და სხვადასხვა სამხედრო ქონებით.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის

ბერლინი, 26 სექტემბერი (საქდესი). 24 სექტემბერს დღის 12 საათზე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში ამხ. შკვარცევმა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა ვეიცზეკერმა ურთიერთს გადასცეს სიგელები საბჭოთა კავშირ - გერმანიის თავდაუსხმელობის იმ პაქტის რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1939 წლის 23 აგვისტოს. მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ ხელი მოაწერა ოქმს სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შესახებ, ამხ. შკვარცევმა და სტატს-მდივანმა ვეიცზეკერმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

„ჩვენი ბავშვები დედაენაზე ისწავლიან“

საუბარი ბარანოვიჩის საქალაქო დროებითი სამმართველოს წევრთან — სკოლის დირექტორ პეტრე ესტატეს-ძე ნეხვატიუკთან

ბარანოვიჩი, 25 სექტემბერი (საქდესის სპეცკორი). ბარანოვიჩის დროებითი მმართველობის შემადგენლობაში შედის ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელი — უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის დირექტორი პეტრე ესტატეს-ძე ნეხვატიუკი, რომელიც 33 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. ამჟამად მან ქალაქის მასწავლებელთან ერთად ენერგიულად მოჰკიდა ხელი სასკოლო მუშაობის მოწესრიგებას. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში პ. ე. ნეხვატიუკმა განაცხადა:

— ქალაქის სკოლები შეუდგნენ ნორმალურ მუშაობას. სოფლის დაწყებით სკოლებში დღეიდან ჩვენი ბავშვები მშობლიურ ბელორუსულ ენაზე ისწავლიან. ეს მოვლენა განსაკუთრებით სასიხარულოა ბელორუს მშრომელებისათვის. პოლონელი ხელისუფალნი სასტიკად სდევნიდნენ და სჩაგრავდნენ ბელორუსულ კულტურას. პოლონეთის ხელისუფლება აცხადებდა, დასავლეთი ბელორუსია პოლონური ოლქიაო. პანები ცდილობდნენ განედევნათ თვით სახელწოდება „ბელორუსიაც“ კი და აცხადებდნენ, ბელორუსები მხოლოდ რუსეთში ცხოვრობენ, პოლონეთში კი ისინი არ არიანო.

ბელორუსული სკოლები აკრძალული იყო. ბელორუსულ ენას სდევნიდნენ არა მარტო სკოლებიდან, არამედ მთავრობის ყველა დაწესებულებიდან.

გლეხები, რომელთაც არ იცოდნენ პოლონური ენა, მოხელეებს თავის დედაენაზე მიმართავდნენ, მოხელეები კი დასცინოდნენ გლეხებს და პოლონურად უპასუხებდნენ. რადგანაც სკოლებში არ შეიძლებოდა დედაენაზე სწავლება, მრავალი ბელორუსი მასწავლებელი უმუშევარი დარჩა. ისინი ყველაფერს ჰკიდებდნენ ხელს, გარდა თავისი საყვარელი საქმისა.

ეს კიდევ ცოტაა, ორი წლის წინათ ბელორუსი მასწავლებლების დიდი ჯგუფი ძალად იყო გადასახლებული ცენტრალურ პოლონეთში. დამახასიათებელია, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებას დაავალა ქადაგების წარმოება მხოლოდ პოლონურ ენაზე.

გიმნაზიასა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ბელორუსს მრავალი დაბრკოლება უნდა გამოეცადა. ჩემმა ვაჟმა გაათავა საშუალო სასწავლებელი. მე იგი გავაგზავნე ლვოვის უნივერსიტეტში. მან ფრიადზე ჩააბარა გამოცდა, მაგრამ არ მიიღეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის ბელორუსია.

— პოლონეთში, — გვიამბობს შემდეგ პ. ე. ნეხვატიუკი, — მკაცრად ახშობდნენ დემოკრატიული თავისუფლების მცირე გამოვლინებასაც კი. ერთწლინახევრის წინათ ბარანოვიჩში მიმდინარეობდა ხმოსნების არჩევა საქალაქო მაგისტრატში. არჩევნების დროს ხშირად სცემდნენ იმ კანდიდატებს, რომლებიც არ იყვნენ სასურველი ხელისუფლებისათვის. სცემდნენ აგრეთვე ამომრჩევლებსაც, რომლებსაც შეეძლოთ აერჩიათ ხელისუფლებისათვის არასასურველი კანდიდატი.

პოლონეთის პანების ბატონობაში ყოფნის წლები უბედურებისა და უდიდესი ჩაგვრის წლები იყო. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დასავლეთი ბელორუსიის ხალხისათვის დახმარების აღმოჩენისა და პოლონეთის პანების უღლისაგან მისი განთავისუფლების შესახებ, უდიდესი სამართლიანობის აქტია. მე არ შემეძლო ღრმა აღელვების განუცდელად მომესმინა ამხანაგ მოლოტოვის 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა. ბელორუსი მასწავლებლები აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას.

დასავლეთი ბელორუსიის მასწავლებლობა უდიდესი პატივისცემით ეპყრობა წითელ არმიას, აღტაცებულია წითელარმიელებისა და მეთაურების ყოფაქცევით.

ი. ალექსოვსკი.

„ჩერვონა არმადა“

ლვოვი, 25 სექტემბერი (საქდესის სპეცკორი). ტარნოპოლ-ლვოვის გზაზე მიდიოდნენ სახელოვანი წითელი არმიის ნაწილები. მე მრავალი პარადი მინახავს მოსკოვში წითელ მოედანზე, კიევში. ეს პარადები, ჩვენი არმიის ძალა და ძლიერება, ღრმად მაღელვებდნენ, მაგრამ ტარნოპოლ-ლვოვის გზაზე ნახულმა მთელი ჩემი არსება შეიპყრო.

სახმელეთო გიგანტი-დრედნოუტები, ათასობით საბრძოლო მანქანა, ყოველგვარი ყალიბის არტილერია... მოსწრებულად სთქვა ერთმა გლეხმა: „წითელი არმადა—გრიგალიო“. დიახ, ჩვენი არმია გრიგალის მსგავსია.

პოლონელმა გენერალმა, რომელიც გარნიზონს სარდლობდა ლვოვში, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბრძანა იმ ოფიცრის დაპატიმრება, რომელმაც მოახსენა, წითელი არმია ლვოვთან არისო—ჩვენი ნაწილების მსვლელობის ასეთი სისწრაფე ვერ წარმოედგინა ამ გენერლის გონებას. მან არ დაუჯერა თავის დაზვერვას და მისი მოხსენება პანიკად ჩასთვალა.

გზა ტარნოპოლიდან ლვოვისაკენ წარმოადგენდა საბრძოლო მანქანების განუწყვეტელ მოძრავ ლენტს. ლვოვიდან ფეხით მოდიოდნენ ათასობით პოლონელი ჯარისკაცები. ისინი მოეხეტებოდნენ გზატკეცილის მახლობლად, და, როდესაც დროდადრო კოლონა შეჩერდებოდა, პოლონეთის არმიის ჯარისკაცები შემოეხვეოდნენ ჩვენს მებრძოლებს, მხურვალედ მიესალმებოდნენ თავის განმათავისუფლებლებს, რომელთაც გაჰფანტეს პანების — პოლონეთის პოლკოვნიკთა უნიჭო და გულქვა ხროვა.

ძნელია მძლავრი ტანკებისათვის, ვეებერთელა საბარგო მანქანებისათვის, უზარმაზარი ქვემეხებისათვის მოძრაობა ვიწრო გზაზე, რომელსაც ტანკების წამყვანებმა მავნებლური გზა უწოდეს. მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი იყო ჩვენი არმიისათვის სოფლებში მოძრაობა, შეიძლება მთელი სიცოცხლე ისე გაატარო, შეიძლება მთელი ქვეყანა მოიარო, რომ არაფერმა გაგაკვირვოს და აგაღელვოს ისე, როგორც დასავლეთ უკრაინის გლეხებთან წითელი არმიის შეხვედრის სურათებმა.

ტანკებს აყრიან ყვავილებს, მოქარგულ „რუშნიკებს“. ქალიშვილები ყელზე იგლეჯენ მარჯნებსა და ესვრიან მანქანაში მჯდომ მებრძოლებს. მე ვნახე, როგორ შეჩერდა რამდენიმე წუთით ტანკი. ტანკიდან გადმოვიდა მეთაური. მას თვალის დახამხამებაში შემოეხვია ხალხი, ხელს ართმევდნენ, ყველა ერთბაშად ელაპარაკებოდა. როცა ერთმა ქალიშვილმა თავზე მოიხსნა სადღესასწაულო მანდილი, აკოცა მეთაურსა და მანდილი ყელზე მოახვია, ხალხმა სიმღერა დაიწყო. მეთაურს ათეული მკლავი შემოეხვია და საბრძოლო მანქანისაკენ გააქანა.

აი მოჩანს წყალსადენის კოშკის უზარმაზარი ანძა. ულამაზესი ქალაქია! ძველი უკრაინული ქალაქი, რომლის კედლებთან ზაპოროჟელები და აჯანყებული გლეხები ებრძოდნენ თავის საუკუნოებრივ მტერს, პოლონეთის შლიახტას. ლვოვი— დასავლეთ უკრაინის უდიდესი ქალაქი,—საბჭოთა ქალაქი გახდა. დილიდანვე ქალაქის მცხოვრებნი გამოვიდნენ ქუჩებში დროშებითა და ტრანსპარანტებით. მთელი დღე მოძრაობდნენ ლვოვის მოქალაქეთა კოლონები და უკრაინულ და პოლონურ ენაზე ერთადერთ სიმღერას—„ინტერნაციონალს“ მღეროდნენ.

საბჭოთა ხალხის ჰიმნს სწყვეტდა მუშებისა და ინტელიგენციის მიერ წარმოთქმული ლოზუნგები: „ხაი ჟივე სტალინ“! „ხაი ჟივე მოლოტოვ“!, „ხაი ჟივე ვოროშილოვ“!, „ხაი ჟივე ჩერვონა არმია“!

კოლონები მოძრაობდნენ მოედანზე თეატრისაკენ. თეატრთან მებრძოლები ტაშით ეგებებოდნენ ლვოვის მოქალაქეებს.

მეორე დღეს კვლავ მოდიოდნენ დემონსტრანტების კოლონები. თვითეულ სიტყვაში, თვითეულ ღიმილში ამაღლევებელი სიხარულია, იმ ადამიანთა სიხარული, რომელნიც ახალ მშვიდობიან და ნათელ ცხოვრებაში შევიდნენ.

ალექსანდრე კორნეიჩუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

ყრილობის დღიური

26 სექტემბრის დილის სხდომა

26 სექტემბერს დილით შესდგა ყრილობის მეორე სხდომა. თავმჯდომარეობდნენ მწერლები ლ. ქიაჩელი და ს. ეული. ამხ. ა. მაშაშვილმა გამოაქვეყნა მოძმე უკრაინისა და ყირგიზეთის საბჭოთა მწერლების კავშირების მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობამ მოისმინა ამხ. ს. ჩიქოვანის მოხსენება ქართული ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, რის შემდეგ დაიწყო კამათი. დღის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს დ. გულიამ (აფხაზეთი), დ. კვირკველიამ (ქუთაისი), რიზა შახ-ვალადმა, პ. ლორიამ (აჭარა), ი. ხოშტარიამ, გ. გაჩეჩილაძემ და ქ. მიქელაძემ.

აფხაზეთის მხცოვანმა მწერალმა დ. გულიამ ყრილობას გადასცა აფხაზეთის მწერალთა სალამი და თავის სიტყვაში დაახასიათა აფხაზეთის საბჭოთა მწერლობა, რომელიც გაიფურჩქნა და გაიზარდა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა აფხაზეთის მწერლობისადმი და აღმოუჩინოს ახალგაზრდა აფხაზ მწერლებს შემოქმედებითი დახმარება.

ამხ. დ. კვირკველიამ ყრილობას დაუხასიათა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობა და აღნიშნა, რომ ქუთაისელი მწერლები წარმატებით მუშაობენ. მან მოკლედ ჩამოსთვალა, თუ რა მიღწევები აქვთ და რაზე მუშაობენ ამჟამად მწერლები— დ. თომაშვილი, ქ. გუგუშვილი, გ. გისელი, შ. ჩარკვიანი, ი. ფურცხვანიძე, გ. ჯიბლაძე, ბ. კეშელავა, ისიანი, დამწყები მწერლები — ს. ახვლედიანი, გრ. იმედაძე, ნაფეტვარიძე, ვ. გვეტაძე და სხვები. ორატორმა უსაყვედურა მწერალთა კავშირს ქუთაისის განყოფილებისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო, ხოლო სახელგამსა და „ფედერაციას" — ქუთაისის მწერალთა წიგნების გამოცემის უგულებელყოფა.

ამხ. პ. ლორიამ უკმაყოფილება გამოსთქვა, რომ მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებაში ძალიან ცოტა იყო ნათქვამი ავტონომიური რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. აჭარის ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 9 მწერალსა და 50 დამწყებ მწერალს. მან მოკლედ დაახასიათა ნ. მალაზონიას, პ. რურუას, შ. იოსელიანის, მ. ვარშანიძის, ჯ. ნოღაიდელის და სხვათა შემოქმედებითი მუშაობა. სამწუხაროდ, ამხ. ლორიამ არაფერი სთქვა იმ დეფექტებზე, რომლებსაც ადგილი აქვს მწერალთა კავშირის და აჭარაში მისი განყოფილების მუშაობაში.

ი. ხოშტარიამ აღნიშნა, რომ ამხ. ა. მაშაშვილის მოხსენებაში სათანადო სიღრმით არ იყო დასმული შემოქმედებითი საკითხები. ორატორმა უსაყვედურა მწერალთა კავშირის გამგეობას უყურადღებობა ახალგაზრდა კადრებისადმი. მათზე ზრუნვა ორიოდე ლექსის დაბეჭდვით ამოიწურება. აღმზრდელობითი მუშაობა სუსტია. კავშირმა მოაწყო ორიოდე მოხსენება პარტისტორიის საკითხებზე და ამით დაამთავრა თავისი დახმარება იმ მწერლებისადმი, რომლებიც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლაზე მუშაობენ. ორატორმა გააკრიტიკა აგრეთვე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" და ჟურნალების „ჩვენი თაობისა" და „მნათობის" რედაქციების მუშაობა.

ამხ. გ. გაჩეჩილაძემ ილაპარაკა თარგმნის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გამოყენებას უცხო ენიდან თარგმნის დროს მწერლებმა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უნდა მიმართონ. მწერალმა, რომელსაც სურს იმუშაოს თარგმანზე, სათანადოდ უნდა შეისწავლოს უცხო ენა, რომ შესძლოს ორიგინალის თავისებურების სწორად გაგება და გადმოცემა. მასთან ამხ. გ. გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირში სათანადოდ მოგვარებული არ არის თარგმანის ორგანიზაციული მხარე. გამგეობა თარგმანს სისტემატურად მწერლების ერთსა და იმავე ჯგუფს ავალებს და არ იყენებს ისეთ მწერლებს, რომლებსაც კარგად შეუძლიათ თარგმნა. ამის საილუსტრაციოდ ორატორმა მოიყვანა „დავით სასუნცის" თარგმნის მაგალითი. მან გააკრიტიკა აგრეთვე ჟურნალ „ჩვენი თაობისა" და გაზ. „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციების მუშაობა.

26 სექტემბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პოეტი ი. გრიშაშვილი, გრძელდებოდა კამათი ამხანაგების ა. მაშაშვილის, შ. დადიანის და ს. ჩიქოვანის მოხსენებათა გარშემო. სიტყვებით გამოვიდნენ დ. შენგელაია, ხ. პლიევი (სამხრეთ-ოსეთი), მ. გელოვანი, ა. გომიაშვილი, ს. ეისიანი (ქუთაისი), ლ. მეტრეველი, კვიწინია (აფხაზეთი), დ. თომაშვილი (ქუთაისი) და კ. გამსახურდია.

კამათი გაშლილი კრიტიკის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ორატორებმა წამოაყენეს მთელი რიგი შემოქმედებითი საკითხები და გააკრიტიკეს მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობა. მათ აღნიშნეს, რომ მწერალთა კავშირის გამგეობა მთელი სიმკვეთრით არ აყენებს ლიტერატურულ, შემოქმედებითს პრობლემებს, სათანადოდ ვერ აწესრიგებს ჟურნალების „მნათობის", „ჩვენი თაობის" და „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციების მუშაობას. აღინიშნა აგრეთვე მწერალთა კავშირის ლიტერატურული სექციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და მათდამი გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობა.

სხდომის დროს ყრილობას ეწვია ხელოვნების მუშაკთა დელეგაცია: ა. ხორავა, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ლ. გვარამაძე, ბეროიანი, აბარიანი, მარშაკი, შახ-აზიზოვი, რუბინი, შელეხოვა და ლ. ესაკია. ხელოვნების მუშაკთა სახელით ყრილობას მიესალმა სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. დელეგაციას ყრილობამ მხურვალე ოვაციები გაუმართა.

დღეს დილით გაგრძელდება კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

ქართული საბჭოთა მწერლობა აღმავლობის გზაზე

ამხ. ალიო მაშაშვილის მოხსენება*

ამხანაგებო! ჩემი საანგარიშო მოხსენება შეეხება ქართული საბჭოთა მწერლობის მუშაობას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებიდან დღემდე, საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობიდან დღევანდელ მეორე ყრილობამდე.

ეს შვიდი წელი ჩვენი მწერლობისა უთუოდ უხვი შემოქმედებითი მოსავლით ხასიათდება. ამ შვიდ წელში მოხდა მთელი რიგი ეკონომიურ-კულტურული ცვლილებები აღმავლობის ხაზით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მათ შორის მწერლობაშიც.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ამ ხნიდან დაწყებული ვიდრე დღემდე ჩვენი მწერლობა უმტკივნეულოდ ვითარდებოდა, თითქოს მწერლობაში პარტიის გენერალური ხაზი არ მახინჯდებოდა. ქართველი საბჭოთა მწერლების ძირითად ბირთვს შეურიგებელი ბრძოლის წარმოება მოუხდა სოციალიზმის იდეების სიწმინდის დაცვისთვის ჩვენს მწერლობაში. ჩვენ მოგვიხდა რეალიზმის პრინციპის დაცვისთვის ბრძოლა ყოველგვარი უცხო იდეების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ დიდხანს ვრცელდებოდა ცისფერყანწელების სენი ქართულ ლიტერატურაში; ჯანსაღი ნაწილი ჩვენი მწერლობისა იზრდებოდა და მტკიცდებოდა ცისფერყანწელების წვრილბურჟუაზიულ ბოჰემურ-დეკადენტურ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლოს, ნაწილი ცისფერყანწელებისა კლასობრივი მტრის ბანაკში აღმოჩნდა. ერთი ნაწილი—ჯანსაღი ნაწილი ცისფერყანწელებისა თავიდანვე ჩამოსცილდა მათ და რევოლუციურ საბჭოთა მწერლობას შეუერთდა.

საბჭოთა მწერლობას ბრძოლა მოუხდა აგრეთვე ფორმალისტურ განწყობილებათა წინააღმდეგ. ფორმალისტები ჯგუფური თვალსაზრისით ცისფერყანწელების სენს ავრცელებდნენ ჩვენს მწერლობაში. მაგრამ ჯანსაღი ნაწილი ამ ჯგუფიდანაც სავსებით ჩამოშორდა მას და მტკიცედ ჩადგა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში.

ჩვენი მწერლობა და მისი ორგანიზაცია გზადაგზა იწმინდებოდა იმ მტრული ელემენტებისა და მავნებლებისაგან, რომლებიც, ნიღაბაფარებით მოკალათებული იყვნენ რა ჩვენს ორგანიზაციაში, ხრწნიდნენ და ატალახებდნენ მას.

დღეს საქართველოს მწერლების კავშირი მწერალთა მთლიან მონოლითურ ორგანიზაციას წარმოადგენს. მწერალთა კავშირის მთელი აქტივი მტკიცედ დარაზმულია ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ირგვლივ.

ჩვენი ყრილობა იკრიბება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობებში. საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობიდან ამ ყრილობამდე ჩვენმა ქვეყანამ განიცადა გრანდიოზული ხასიათის ცვლილებანი.

სოციალისტური სამშობლოს ამ უმაგალითო განვითარების შედეგად გაიზარდა და აღორძინდა ქართული საბჭოთა მწერლობა. იგი დღეს საკავშირო საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგში დგას. ჩვენი მწერლობა უკვე სახალხო მწერლობად იქცა. იგი ხალხის გრძნობათა და მისწრაფებათა ამსახველი მწერლობაა. ხალხს იგი უყვარს. ეს სიყვარული გამომჟღავნდა იმ საამაყო ჯილდოებში, რომლებითაც დაასაჩუქრა მან თავისი მწერლები; 13 ქართველი მწერლის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით მართლაც გვიჩვენებს იმ სიყვარულსა და მზრუნველ პატივისცემას, რომლითაც ეპყრობა ხალხი, პარტია და ხელისუფლება თავის ღვიძლ შვილებს, საბჭოთა კალმის ოსტატებს. ამ უსაზღვრო სიხარულმა კიდევ მეტი იმპულსი შეუქმნა მწერლებს შემოქმედებითი მუშაობისათვის.

საანგარიშო მოხსენებაში მე შევეცდები იდეურ-თემატური განხრით განვიხილო ჩვენი მწერლობის ვითარება განვლილი შვიდი წლის მანძილზე.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სოციალისტური მეურნეობის პროცესებს. იგი ცდილობდა მხატვრულ ფერადებში აესახა მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში მომხდარი ძვრები.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყის პერიოდს მხატვრულად გვიჩვენებს კონსტ. ლორთქიფანიძე თავის რომანში „იმერეთი". ამ ნაწარმოებში ავტორმა სოფლის ახალ სამეურნეო ურთიერთობისა და ადამიანთა ფსიქოლოგიის მხატვრულ გადმოცემაში უსათუოდ რეალისტური ალღო გამოიჩინა და მოგვცა რთულ კლასობრივ ვითარებაში მოქცეული პროცესები და ამ პროცესებში მზარდი ახალი ადამიანი.

ახალი საბჭოთა სოფლის ფონზეა გაშლილი აგრეთვე კონსტ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება". ამ რომანით გამსახურდია დაუახლოვდა სინამდვილეს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომანი ვერ ასახავს მაშინდელი სოფლის ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, რომანი „მთვარის მოტაცება" საგრძნობი ნაბიჯი იყო წინ „დიონისოს ღიმილის" ავტორისათვის.

საკოლმეურნეო მასალაზე დაიწერა აგრეთვე ელიზბარ პოლუმორდვინოვის რომანი „იღვიძებენ მთები".

რომანში გამოხატულია მოჯამაგირეობიდან გამოსული ღატაკი გლეხის კოლმეურნეობაში შესვლა და მის მიერ ახალი ცხოვრების დაწყება.

საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ ეტაპს ეხება აგრეთვე ალექსანდრე ჭეიშვილის რომანი „ლელო". ეს რომანი თითქოს მხატვრული გამოძახილია სტალინური ლოზუნგისა: „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად". მიუხედავად სიუჟეტური განვითარების სისუსტისა და ალაგ-ალაგ ნატურალიზმამდე დაყვანილი სცენებისა, ეს რომანი თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში.

ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა" ეხება საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახლანდელ პერიოდს. რომანში დასმულია პრობლემა კოლმეურნეობის შიგნით წვრილი, მესაკუთრული ინსტინქტის აღმოფხვრისა. მწერალმა ყოველმხრივ დაგვიხატა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

საკოლმეურნეო თემაზეა დაწერილი აგრეთვე მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებები: „უჩარდიონი" კარლო კალაძისა, „ფოლადაური" სანდრო შანშიაშვილისა, „მური" იონა ვაკელისა, „კოლმეურნის ქორწინება" პოლიკარპე კაკაბაძისა და სხვ. კოლმეურნეობის თემაზე დაიწერა აგრეთვე პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთი". რომანი ბეჭდვის პროცესშია და მას დეტალურად არ შევეხები.



საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზეა დაწერილი იაკინთე ლისაშვილის „ძახილი მთაში" და სოლომონ თავაძის „ჯილდო".

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო ცხოვრების ზრდამ მხატვრული გამოხატულება ჰპოვა ლირიკულ პოეზიაშიც. მრავალფეროვანი ბუნების ფონზე გაშლილია განახლებული სოფლის ცხოვრება და სინამდვილე სიმონ ჩიქოვანის ლექსებში „უშგულის კომკავშირი", „შემოღამება ხახმატში", „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები". ასევე ითქმის გიორგი კაჭახიძის, ი. მოსაშვილის, გ. ტაბიძის, ალ. აბაშელის, ალ. გომიაშვილის, ირ. აბაშიძის და სხვათა ლექსებზე.

ჩვენი ლიტერატურის მთავარ თემას უნდა წარმოადგენდეს შრომა და მისი გმირები. საჭიროა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უფრო გაამახვილოს თავისი ყურადღება საწარმოო თემაზე, მუშათა კლასის მოწინავე გმირ ენტუზიასტებზე, რომლებმაც შრომა გმირობისა და დიდების საქმედ აქციეს. მართალია, ქალაქის წარმოების თემაზე დაიწერა პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულები", ბ. ჩხეიძის „ფერო", ი. ლისაშვილის „ვარდნილი", მაგრამ ეს ნაწარმოებები თავისი მხატვრული სისუსტის გამო ხარვეზს ვერ ავსებენ.

ქართული საბჭოთა მწერლობის ერთერთ მთავარ თემად იქცა აგრეთვე სამოქალაქო ომის ისტორია საქართველოში. სამოქალაქო ომის ცალკეულ ეპიზოდებს ხატავს პოეტი გალაქტიონ ტაბიძე თავის პოემაში „ეპოქა". პოეტმა გიორგი ქუჩიშვილმა, ალ. გომიაშვილმა და სხვებმა მგზნებარე ლექსები დასწერეს ამ თემაზე.

მშრომელი მოსახლეობის მღელვარე ბრძოლას შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ გამოხატავენ რ. გვეტაძის მოთხრობები: „ჭიაკოკონა", „თეო" და სხვ. გლეხი ქალის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის მძაფრ მხატვრულ ფერებში მოცემული აქვს რაჟდენ გვეტაძეს პოემაში „მერკვილაძის დები".

ქართველი მენშევიკების უდღეური ბატონობა საქართველოში და ქართველი ხალხის ბრძოლა მათ წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით მოცემული აქვს ალექსანდრე ქუთათელს თავის რომანში „პირისპირ".

სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა" და სერგო კლდიაშვილის რომანი „ფერფლი".

ამხანაგ ლავრენტი ბერიას შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" იდეურ-თემატიურ საფუძვლად დაედო ბევრ ჩვენს მხატვრულ ნაწარმოებს. ეს შრომა ნათელ შუქს ფენს მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციების ჩასახვასა და მათს ბრძოლას ძველი წყობილების წინააღმდეგ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელ როლს ამ ბრძოლაში.

შალვა დადიანის დრამა „ნაპერწკლიდან" სწორედ ის მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას სოციალური უკუღმართობის დაძლევისა და განადგურებისათვის. პიესაში მთავარ გმირად გამოყვანილია ახალგაზრდა სტალინი, რომელიც იბრძვის ცხრაასიანი წლების დამდეგს ლენინურ-ისკრული იდეების დამკვიდრებისათვის ამიერ-კავკასიაში.

ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის გმირული ისტორიის ერთერთ ეპიზოდს ეხება ახალგაზრდა პოეტის გრ. აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული", რომელიც უაღრესად რეალისტური ნაწარმოებია.

სამოქალაქო ომის ფონზეა გაშლილი აგრეთვე კ. ბობოხიძის „ორჯონიკიძე", ვ. დარასელის პოემა „კიკვიძე" და სხვ.

ქართული მწერლობისათვის ერთერთ დამახასიათებელ თემად იქცა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის წარსული.

ასეთია კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა". რომანის თემა თუმცა აღებულია ძალზე შორეული წარსულიდან, მეფე გიორგი პირველის ეპოქიდან, მაგრამ მაინც თავისი რაინდული სულისკვეთებით უსათუოდ ეხმაურება თანამედროვე ეპოქას.

ისტორიულ თემაზეა დაწერილი აგრეთვე სიმონ ქვარიანის რომანი „გიორგი სააკაძე". დემნა შენგელაიას მოთხრობები: „შემოქმედი" (ბეშქენ ოპიზარზე, თამარ მეფის ეპოქიდან), „ბაშკადიკლარი", „ყაზაეთი" და „ბათა ქექია", იონა ვაკელის დრამა „შამილი", „გიორგი სააკაძე", სანდრო შანშიაშვილის „არსენა", პანტელეიმონ ჩხიკვაძის „ნაპიჯები" და „მურზაყან დადეშქელიანი", შალვა დადიანის მოთხრობა „დღესა ერთსა" შოთა რუსთაველის ცხოვრებიდან და ანა ხახუტაშვილის „იოსებ ლაღიაშვილი".

ისტორიულ თემაზეა დაწერილი აგრეთვე სიმ. ჩიქოვანის „წუნდას ტბა", „ვარძია", ვ. გაბესკირიას ლექსები „ცხრა ძმა ხერხეულიძე" (მარაბდის ომის პერიოდიდან), „ვეფხის - ტყაოსნის გადამწერი", შალვა აფხაიძის „წამებული" და სხვ.

ქართული მწერლობის ორგანულ თემად იქცა სოციალიზმის სამშობლო, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამ თემაზე მრავალი ლექსი და პოემა დაიწერა. აღსანიშნავია ამ მხრივ ილო მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ალ. აბაშელის, ა. გომიაშვილის და სხვათა მაღალხარისხოვანი ლექსები.

დიდ ლიტერატურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ქართველი ხალხის მიმართვა დიდ სტალინისადმი", ლექსად თქმული ქართველი პოეტების ერთი ნაწილის მიერ.

მთელი რიგი ლექსები დაიწერა აგრეთვე სტალინურ კონსტიტუციაზე. საბჭოთა ხალხის პოლიტიკურმა და მორალურმა ერთიანობამ, მისმა უსაზღვრო ნდობამ კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი ნათელი გამოხატულება ჰპოვა სსრკ და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნებში. ქართველმა პოეტებმა ამ თემას მიუძღვნეს წიგნი ლექსებისა და პოემებისა, რომელთა უმრავლესობა უკვე ხალხში სასიმღეროდ ქცეულა.

ქართული მწერლობის დაუშრეტელი წყაროა სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ თემამ დიდი იმპულსი მისცა ჩვენი მწერლობის იდეურ-თემატურ აღორძინებას. მთელ რიგ ლექსებსა და პოემებთან ერთად აღსანიშნავია ამ მხრივ გიორგი ლეონიძის პოემა: „ბავშვობა და ყრმობა", რომელიც ეხება სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

გიორგი ლეონიძის პოემას აკლია ეპიური გაშლილობა, მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

ამხანაგ სტალინის ყრმობის თემაზეა დაწერილი აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ბელადი". ჯერჯერობით ეს რომანი გამოქვეყნების პროცესშია და ამიტომ მას აქ დეტალურად არ შევეხები.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაყრდენია. ჩვენმა ქვეყანამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალისტური ქვეყნების მიერ მოსყიდულ ჯაშუშებს— ტროცკისტ - ბუხარინელ ბანდიტებს, რომლებიც ლამობდნენ იუდას გროშებზე მიეყიდათ ჩვენი სამშობლო სისხლისმსმელი ინტერვენტებისათვის. ჩვენმა ქვეყანამ საკადრისი პასუხი გასცა იაპონელ სამურაებს, რომლებიც ცდილობდნენ გადმოელახათ ჩვენი ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრები. დღეს ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია განაგრძობს სამართლიან ბრძოლას და გამარჯვების ფურცლებს სწერს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ამ ბრძოლაშიაც ის, როგორც ყოველთვის, გამარჯვებული გამოვა.

ჩვენი მწერლობის ერთერთ საყვარელ თემად იქცა თავდაცვითი თემატიკა. დაიწერა მთელი რიგი ლექსები და სიმღერები, რომლებშიაც გამოსჭვივის ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების, თავდაცვითი უნარიანობისა და ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეა. ამის დამადასტურებელია ჩვენი პოეტების სამხედრო ლექსების და სიმღერების წიგნი „სამშობლო". მიუხედავად ამისა, ჩვენს მწერლობაში უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს თავდაცვითი თემატიკის არე.

მშრომელთა გულისყური, როგორც ბედის ვარსკვლავისაკენ, მიპყრობილია იმ პატარა, ლამაზი და ბედნიერი კუთხისაკენ, სადაც დაიწყო მშობლიური სტალინის აკვანი. გორში დაიბადა, გაიზარდა და მომავალი რევოლუციური აზვირთების პირველი სუნთქვა იგრძნო ახალგაზრდა სტალინმა. ქართველი პოეტები დიდი შთაგონებით უმღერიან გენიალური სტალინის მშობელ ამ პატარა კერას. ქართველი მწერლები ამჟამად ამზადებენ მხატვრულ კრებულს, მიძღვნილს გორისადმი. ამ ფრიად საპატიო ამოცანის შესრულებაში ჩაბმულია მწერალთა კავშირის მთელი აქტივი.

მრავალფეროვნად იქნა ასახული ჩვენს მწერლობაში აგრეთვე კოლხიდის თემაც. გულწრფელი პოეტური შთაგონებით უმღერიან ქართველი მწერლები ამ განახლებულ მხარეს.

ძველი ინტელიგენციის დიფერენციაციისა და რღვევის პროცესს ასახავს კ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება", ხოლო ძველი სკოლის ინტელიგენციის წრიდან გამოსული ადამიანის მისვლას სოციალიზმთან დადებითად სწყვეტს სერგო კლდიაშვილი თავის დრამატიულ ნაწარმოებში „გმირთა თაობა". ასევე დადებითად აქვთ გადაჭრილი ეს პრობლემა ვ. გაბესკირიას თავის პიესაში „მათი ამბავი" და სიმონ მთვარაძეს პიესაში „მთაგრეხილზე". ძველი ინტელიგენციის ცხოვრების ფონზეა გაშლილი აგრეთვე ალ. ქუთათელის მოთხრობა „აბესალომ და ეთერი".

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ახალი სახალხო ინტელიგენციის ცხოვრების მხატვრულად ასახვაში ჩვენი მწერლობა საგრძნობლად ჩამორჩება.

ხალხთა სტალინური მეგობრობა თავიდანვე იყო ქართული საბჭოთა მწერლობის დედაარსი. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ცხოვრება და კულტურა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. ქართველმა მწერლებმა მოძმე ერების ცხოვრებიდანაც სცადეს მხატვრული ნაწარმოებების დაწერა. აღსანიშნავია ამ მხრივ კ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა ციკლი საბჭოთა ბელორუსიის შესახებ. ბელორუსიის ხალხის ცხოვრებას ეხება აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის ბელორუსული მოთხრობები „მახრა", „სკირგაილო". აქაც მოცემულია ბელორუსი ხალხის ბრძოლის ეპიზოდები სამოქალაქო ომის ისტორიიდან.

საბჭოთა უკრაინის ხალხის ცხოვრებას ეხება კ. გამსახურდიას მოთხრობა „უკრაინის თემიდი", რ. ქორქიას მოთხრობა „შჩორსი". უკრაინელი ხალხის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს ცხოვრებიდან პოემა დასწერა სანდრო ეულმა. ბელორუსიის და უკრაინის ხალხთა ცხოვრებაზე მშვენიერი ლექსები დასწერეს პოეტებმა—ილო მოსაშვილმა, ალ. ქუთათელმა, გ. კაჭახიძემ და სხვ. ქართველი პოეტების აქტივმა დიდი სიყვარულით სთარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა დიდი რუსი ხალხის გენიალური პოეტის პუშკინის ლექსები და პოემები. პოეტმა გრ. ცეცხლაძემ სთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინი" და ნეკრასოვის ლექსები და პოემები, აგრეთვე უკრაინის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს რჩეული ნაწერები. პოეტმა იასამანმა მთლიანად სთარგმნა უკრაინულიდან ტარას შევჩენკოს „კობზარი". ითარგმნა და ქართულ ენაზე გამოსაცემად დამზადდა ოსეთის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოებთა სრული კრებული, აგრეთვე ოსური ლიტერატურის ანთოლოგია 25 ფორმამდე. ითარგმნა და გამოიცა ყაზახი ხალხის მომღერლის ჯამბულის ლექსები. ათმა ქართველმა პოეტმა მთლიანად სთარგმნა უდიდესი სომხური ეპოსი „დავით სასუნცი".

ჩვენი მწერლობის რიგებს შეემატნენ ახალგაზრდა კადრები. მათ ჩვენს ლიტერატურაში შემოაქვთ ახალი სურნელება, სითბო და სიხარული. ბევრი მათგანი უდავო ნიჭით არის დაჯილდოებული (ამისულაშვილი, კალანდაძე, ბალიაური, გელოვანი, ჯაბუშანური, უბილავა, საჯაია, ასათიანი, მ. მრევლიშვილი, ისიანი, ხიმშიაშვილი და სხვ.). მაგრამ მათ დიდი მუშაობა სჭირდებათ ცოდნის გასაფართოებლად. მწერალთა კავშირმა უნდა გააძლიეროს ზრუნვა ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მათი შეიარაღებისათვის მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

ცნობილია, რომ ყველაზე ვიწრო ადგილს ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს საბჭოთა კრიტიკა. ჩვენი კრიტიკა ჯერ ვერ ახერხებს რომელიმე ნაწარმოების მთლიანობაში განხილვას. ან მთლად უნდა აქონ ნაწარმოები, ან მთლად უნდა აძაგონ. ორივე ეს მხარე კრიტიკისა სახიფათოა მწერლობის განვითარებისათვის.

საჭიროა კრიტიკა ორგანულად დაუკავშირდეს მწერლობას. საჭიროა კრიტიკა ეხმარებოდეს მწერლობას იდეურ - მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის ბრძოლაში; ამავე დროს უნდა აღმოიფხვრას ზოგიერთი მწერლის მოუთმენელი და აგდებული დამოკიდებულება კრიტიკისადმი. ჩვენ უსათუოდ გვყავს ნიჭიერ კრიტიკოსთა კადრი: რადიანი, ნატროშვილი, ბენაშვილი, ასათიანი, გაწერელია, ჟღენტი, სულავა და სხვ. საჭიროა მათ ზურგი გავუმაგროთ, რომ მეტი გამბედაობით, მეტი პირდაპირობით, მიუხედავად პიროვნებისა, გამოამჟღავნონ ამა თუ იმ ნაწარმოების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები.

დღეს მთელი საბჭოთა მწერლობა თავისი პოლიტიკური შეგნებით ერთსულოვნად დარაზმულია ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო. მესამე სტალინური ხუთწლედი და პარტიის მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებანი თემატურ საფუძვლად დაედო ქართველი მწერლების შემდგომ მუშაობას. მწერალთა კავშირი დღეს ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს. მწერალთა კავშირში დღეს ადგილი არა აქვს კარჩაკეტილობას, ჯგუფობრიობას და ლიტერატურულ წინააღმდეგობათა ტენდენციებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს და ჩვენც თვითდამშვიდებას მივეცეთ. ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ შესაძლოა ადგილი ექნეს ნაციონალისტური ტენდენციების გამოვლენას. გარდა ამისა, ჩვენს რიგებში დღესაც ხანდახან თავს იჩენს ჯგუფობრიობის (უფრო მეტად „მემარცხენეობის" ყოფილი ჯგუფიდან) ნარჩენების განოცოცხლების რეციდივი.

საბჭოთა მწერლობას შექმნილი აქვს ყოველგვარი პირობა შემდგომი განვითარებისათვის. ამხანაგ სტალინის თქმა მწერლებზე, რომ ისინი „ადამიანის სულის ინჟინრები" არიან, სიამაყის გრძნობას ჰქმნის მწერლებში.

მხოლოდ ჩვენის მხრივ საჭიროა უფრო მეტი მუშაობა თავის-თავზე, უფრო ახლოს მისვლა სოციალიზმის ეპოქასთან, ხალხთან, წარმოებასთან, სოციალისტურ მეურნეობასთან, რომ შეიქმნას უკეთესი, უფრო დიდი, მაღალმხატვრული ქმნილებანი მშობლიური სტალინის დიადი ეპოქის ამსახველნი.

მწერალთა კავშირმა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ქუთაისის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, აფხაზეთის მწერალთა განყოფილებებს და სომხურ სექციას — მათთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის გაძლიერების გზით.

მწერალთა კავშირის ახალმა გამგეობამ და პრეზიდიუმმა ისე უნდა გარდაჰქმნან და გააუმჯობესონ თავისი მუშაობა, რომ კავშირი შემდეგშიაც ღირსეულად გამოხატავდეს ქართული საბჭოთა მწერლობის იდეურ - პოლიტიკურსა და შემოქმედებითს სახეს.

---

*) იბეჭდება შემოკლებით. რედ.

დიდი რუსი მეცნიერი

(ი. პ. პავლოვის დაბადებიდან 90 წლისთავის გამო)

როდესაც აკადემიკოსი ივანე პეტრეს-ძე პავლოვი, გულისა და სისხლმიმოქცევის პრობლემაზე 15 წლის მეცნიერული მუშაობის შემდეგ, საჭმლის მონელების შესწავლაზე გადავიდა, ფიზიოლოგიის ამ განყოფილებას ბევრი დიდი ხარვეზი ჰქონდა. ი. პ. პავლოვმა მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, შეუპოვრობითა და ნიჭით ათ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში არა თუ შეავსო ეს ხარვეზები, არამედ ახლად შექმნა მეცნიერება საჭმლის მომნელებელი მთავარი ჯირკვლების შესახებ. მან პირველმა შემოიღო ფიზიოლოგიაში ნამდვილი ქირურგიის ხერხები და გამოიგონა მთელი რიგი შესანიშნავი ქირურგიული ოპერაციები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის შესასწავლად.

ჯერ კიდევ ი. პ. პავლოვამდე ბევრად უფრო ადრე კუჭის წვენის ამოსაღებად იყენებდნენ კუჭის ღრუში ლითონის მილის ჩადგმას (მუცლის ფარიდან). მაგრამ როდესაც ცხოველი არ სჭამდა, ამ მილიდან არაფერი არ მოედინებოდა, ხოლო როდესაც ცხოველი ჭამას იწყებდა, კუჭის გამოყოფილ წვენს საჭმელი ერეოდა, და წვენი სუფთა აღარ გამოდიოდა. ი. პ. პავლოვმა დაიწყო კიდევ მეორე ოპერაციის კეთება: ის ძაღლს ყელზე გადაუჭრიდა ხოლმე საყლაპავ მილს. ახლა, როცა [illegible]

[illegible] გამოჰყოფდა მთელი კუჭიდან მის პატარა ნაწილს, ამასთან მან შესძლო შეექმნა ისეთი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლეოდა ამ პატარა პარკში, როგორც სარკეში, თვალყური ედევნებინა დიდი კუჭის მუშაობისათვის. „პავლოვისეულ იზოლირებულ პატარა კუჭს" ამჟამად ფართოდ იყენებენ არა მარტო რუსეთის, არამედ უცხოეთის უკლებლივ ყველა ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში.



ასეთივე გამოკვლევები ი. პ. პავლოვისა და მისი ლაბორატორიის [illegible]

1903 წ. აპრილში ი. პ. პავლოვმა [illegible]

[illegible]

პროფ. ნ. ა. როჟანსკი

პარტიული ცხოვრება

მზრუნველობით აღვზარდოთ პარტწევრობის კანდიდატები

ამ დღეებში ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში ჩატარდა სტალინის სახელობის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნებისა და პარტიის წევრობის კანდიდატების სარაიონო თათბირი, რომელიც გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გოჩაშვილმა. თათბირს 400-მდე კაცი დაესწრო.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს მაუდის ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. ბ. ცაგურიშვილმა, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პირველი საექსპლოატაციო რაიონის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. ვ. შუბლაძემ, კინოსტუდიის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. ი. ცქიტიშვილმა და საქ. აბრეშუმტრესტის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. ი. ჯანელიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატებმა ამხ. ასათიანმა, გოგიშვილმა, ხაჩატუროვმა, გრძელიშვილმა, ჰეჯინაძემ, კალაშნიკოვმა, ქიტიაშვილმა, ალიხანოვმა და ახვლედიანმა. კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ლეკსუტკინი, მანუკოვი, ვაშაკიძე, რაზმაძე და ახვლედიანი.

თათბირზე აღინიშნა, რომ რაიონის უმრავლესმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობა XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. მაგრამ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიის წევრობის კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანის საქმეს, ხშირად არ აწყობენ თეორიულ ლექციებს და სუსტად ეხმარებიან პარტიის წევრობის კანდიდატებს პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში. მაგალითად, რაიონში პარტიის წევრობის 1.041 კანდიდატია, რომელთაგან 560 კაცს უკვე შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ დღემდე მათთან აღმზრდელობითი მუშაობა სუსტად ტარდება. სტაჟგადაცილებული კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანის საქმეში სუსტად მუშაობს ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველოს პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო—იქ 61 კაცს უკვე გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი. თამბაქოს ფაბრიკაში 31 კაცია სტაჟგადაცილებული, კალინინის სახელობის ქარხანაში—15, ლიმონათის ქარხანაში—14, კუიბიშევის სახელობის ქარხანაში—9 და სხვ. ზოგიერთ კანდიდატს პარტიის წესდებაც კი არა აქვს შესწავლილი, საინტერესო იყო პარტიის წევრობის კანდიდატის ქიტიაშვილის (მეორე სახანძრო რაზმი) გამოსვლა. მას ჯკვე მარტში შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი. შეკითხვაზე, თუ რატომ არ ემზადება პარტიის წევრად გადაყვანისათვის, მან უპასუხა, ორი წლის საკანდიდატო სტაჟით ვარ მიღებულიო.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გ. გოჩაშვილი, რომელიც განსაკუთრებით შეჩერდა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. როგორც ამხ. გოჩაშვილმა აღნიშნა, მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები პარტკანდიდატებს არ აძლევენ ისეთ პარტიულ დავალებებს, რომელიც მათ დაეხმარებოდა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, ზოგან დავალებებს ფორმალური ხასიათი აქვს. ზოგიერთი კანდიდატი ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ სწავლობს ჩვენი პარტიის ისტორიას, პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროები კი ამ მდგომარეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ამხ. გოჩაშვილმა აღნიშნა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატთა არმიას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი, საბჭოების მომავალი არჩევნების წარმატებით ჩატარებაში. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების ამოცანაა—ფართოდ გამოიყენონ ახალგაზრდა კომუნისტები აგიტატორებად, მესაუბრე - წამკითხველებად საარჩევნო უბნებსა და საარჩევნო ოლქებში და სისტემატურად დაეხმარონ მათ ამ საპატიო დავალების კარგად შესრულებაში.

ა. გოგოლაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ნიკოლოზ გიორგისძე **ქორჩილავა** —საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1543218, უფლების გადამეტებისათვის და სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარების მიზნით გამოყენებისათვის.

გიორგი სარდიონის-ძე **საკანდელიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციიდან), რადგან პარტიაში შესვლისას დამალა, რომ სამართალში იყო მიცემული მკვლელობისათვის.

ვლადიმერ პროკოფის-ძე **მეხუზლა** —საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1677607, რადგან დაუმალა პარტიას თავისი მამის ყოფნა ემიგრაციაში.

სილოვან ალექსანდრეს-ძე **პერტია** —საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1526759, კონტრრევოლუციური ლაყბობისათვის.

დიმიტრი ვასილის-ძე **ლომსაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1524060, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცილისწამებისათვის.

გიორგი მიტროფანეს-ძე **წიქვაძე**— საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1527069, ყოფაცხოვრებითი გახრწნილობისათვის და პარტბილეთის დაკარგვის დაფარვისათვის.

ალექსანდრე სოლომონის-ძე **ბეგიაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0923399, ცილისწამებისათვის.

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტში

ბათუმი, (საქდესი). ამ დღეებში ჩატარდა ბათუმის ქალაქის კომიტეტის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და ბათუმის რაიონული კომიტეტების სამხედრო განყოფილებათა გამგეებისა და ინსტრუქტორების თათბირი.

მოხსენება რაიკომების სამხედრო განყოფილებათა ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. დონაძემ. თათბირს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ბათუმის, ქობულეთისა და ქედის რაიკომების სამხედრო განყოფილებათა გამგეებმა ამხ. რუსიძემ, კოლოშვილმა, კლერჯეიშვილმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. მურადაშვილმა, საქალაქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. ჩხაიძემ, თავდაცვაავიაქიმის აჭარის საბჭოს პოლიტსექტორის უფროსმა ამხ. შარაბიძემ და სხვ.

თათბირის მუშაობას ჯამი გაუკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება შემდეგი ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ:

სოხუმის რაიონში (აფხაზეთის ასსრ): წებელდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ამტყელ, გეორგიევსკოე, ჩინი, კრასნიცკოე, დიდი კრაევიჩი, ჩალი, ზახაროვკა, პლანტა, ბუდუკი, ბალი, დანძუტი, ამზარა და მათგან შეიქმნა ზახაროვკის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ზახაროვკაში.

გუმისტის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: სვობოდა, ზემო იაშტუხი, ქვემო იაშტუხი, წითელი იაშტუხი, ცუგუროვკა და მათგან შეიქმნა სვობოდის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სვობოდაში.

დრანდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ბაბუშირა, ვარჩე, კორასკი და მათგან შეიქმნა ბაბუშერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბაბუშერაში.

ვოლოდარსკის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: წითელი ბესლეთი, ქვემო ბირცხა, ზემო ბირცხა და ბესლეთი და მათგან შეიქმნა წითელი ბესლეთის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წითელ ბესლეთში.

ვოლოდარსკის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კელასური, მერხეულისას — ქვემო მერხეული, გულრიფშისას — სოფელი მაჭარა და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია და მათგან შეიქმნა მაჭარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაჭარაში.

ოჩამჩირის რაიონში (აფხაზეთის ასსრ): კინდღის სასოფლო საბჭოს გამოეყო ახლადდასახლებული ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. დამტკიცდა ის ცალკე დასახლებულ პუნქტად და მისგან შეიქმნა ახალი-კინდღის სასოფლო საბჭო.

ხულოს რაიონში (აჭარის ასსრ): ხულოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ქვედა ალმი, ზედა ალმი, ჩაუ და შურმული და მათგან შეიქმნა ქვედა ალმის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვედა ალმში.

ახალქალაქის რაიონში: ახალქალაქის საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფლები: დილისკა, ჩამდურა, ბავრა და ხულგუმო და მათგან შეიქმნა ახალქალაქის სასოფლო საბჭო ცენტრით ქალაქ ახალქალაქში.

ლაგოდეხის რაიონში: ლაგოდეხის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები შრომა და კავშირი და მათგან შეიქმნა შრომის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შრომაში.

ცაგერის რაიონში: ტვიშის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ორხვი და მისგან შეიქმნა ორხვის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ორხვში.

ლვირიშის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ნასპერი და ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს სოფელი სანორჩი და მათგან შეიქმნა ნასპერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნასპერში.

ორჯონიკიძის რაიონში: ბორითის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები მაქათუბანი და უბისი და მათგან შეიქმნა მაქათუბნის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაქათუბანში.

სამტრედიის რაიონში: სამტრედიის საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფლები: ნაფალაური, ნაჩხეტაური, ხიბლარ-წიფნარი და ილორი და მათგან შეიქმნა ნაფალაურის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ნაფალაურში.

სამტრედიის საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფლები: მელაური, ნინოშვილი და ეწერძელი-სამტრედია და მათგან შეიქმნა მელაურის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მელაურში.

ბოგდანოვკის რაიონში: ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: დიდი ხანჩალი, პატარა ხანჩალი და კალნატუ და მათგან შეიქმნა ხანჩალის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ დიდ ხანჩალში.

თელავის რაიონში: კურდღელაურის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი შალაური და მისგან შეიქმნა შალაურის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შალაურში.

წულუკიძის რაიონში: გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი პატარა-ჯიხაიში და მისგან შეიქმნა ჯიხაიშის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ პატარა ჯიხაიშში.

ლანჩხუთის რაიონში: სუფსის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ღრმაღელე, წყალწმინდა და ორმეთი და მათგან შეიქმნა ღრმაღელის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ღრმაღელეში.

დუშეთის რაიონში: ჰოპორტის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ლაფანაანთკარი, მაღრანი, ხიზნები, დავათი, ვარდიანთკარი, ძველი ოსები, ახალი ოსები, წითურები, ქერიანთკარი და ზემოუბანი და მათგან შეიქმნა ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ლაფანაანთკარში.

ტყიბულის რაიონში: ტყიბულის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ახალსოფელი, სამტრედია და ბზიაური და მათგან შეიქმნა ახალსოფლის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალსოფელში.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა შეიტანა შემდეგი ცვლილებები საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიულ დაყოფაში:

გაერთიანებულ იქნა სოფელი ტყიბული და დაბა ტყიბულის მაღაროები და შეიქმნა მათგან ქალაქი ტყიბული.

თბილისის რაიონის ავჭალის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ზემო და ქვემო ავჭალა, გაერთიანებულ იქნა ისინი და მიეკუთვნა ქალაქის ტიპის დასახლებულ დაბათა კატეგორიას. გაუქმდა ავჭალის სასოფლო საბჭო და შეიქმნა ავჭალის სადაბო საბჭო დაბა ავჭალისა და სოფლების ღრმაღელის, წითელი უბნისა და პატარა გლდანის შემადგენლობით ცენტრით ქვემო ავჭალაში.

აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის ლიძავის სასოფლო საბჭო მიეკუთვნა გაგრის რაიონს.

აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის ეკატერინეს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ლინდა და თავისუფალი გვარდა და მიეკუთვნა ისინი იმავე რაიონის ვოლოდარსკის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ-ის დასახლებულ პუნქტების სახელწოდებათა დაზუსტებისა და დაწესებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა დასახლებულ პუნქტების სახელწოდებათა სატრანსკრიპციო კომისია. კომისია გადასინჯავს რა საქართველოს სსრ-ის დასახლებულ პუნქტების სახელწოდებებს დააზუსტებს მათ საბოლოოდ და დააწესებს ზუსტ სახელწოდებებს.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენების, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, მოწმობისა არჩევის შესახებ, ამომრჩეველთა სიებისა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმათა ნიმუშები. დაწესებულ იქნა აგრეთვე ბიულეტენების ფერები და ზომა. პრეზიდიუმმა დავალება მისცა სათანადო ორგანოებს საარჩევნო ქაღალდების გადმოზიდვისა, შენახვისა, დაცვისა და განაწილების ირგვლივ და დასახა ღონისძიებანი საარჩევნო დოკუმენტების დამზადებისა და ამ დოკუმენტებით სათანადო საბჭოების უზრუნველყოფისათვის.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული პროპაგანდის ხარისხი

პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე მოწვეულმა რესპუბლიკურმა თათბირმა, შეაჯამა რა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობა, მთელი სიმკვეთრით დააყენა მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა.

დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ცალკე ამხანაგების გამოსვლებს, რომლებშიაც ისინი ყურადღებას ამახვილებენ პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაში ცენტრალიზაციის დამყარებაზე, უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებაზე, ლექციების თემატიკასა და მათ მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე, თეორიული კონფერენციებისა და საკონსულტაციო მუშაობის უკეთესად მოწყობაზე, პარტიულ - საზოგადოებრივი აზრის დარაზმვაზე პარტიულ პროპაგანდაში არსებული თვითდინების წინააღმდეგ.

საჭიროა ცენტრალიზაცია პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობაში

აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტთა თითქმის 68 პროცენტი დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას. ჩვენთან ახლა ბევრია ისეთი ამხანაგი, რომელიც გულმოდგინედ მუშაობს წიგნზე.

პარტიის წევრობის კანდიდატმა აგრონომმა ამხ. ფაილოძემ (გალის რაიონი) უკვე შეისწავლა სახელმძღვანელოს 6 თავი. მას შედგენილი აქვს კონსპექტი. ამხ. ფაილოძეს გარჩეული აქვს ლენინის შრომა „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ და აგრეთვე მეორე შრომა „რა ვაკეთოთ?“. ჩვენ ამ ამხანაგთან გვქონდა საუბარი იმაზე, თუ როგორ მეცადინეობს წიგნზე. გამოირკვა, რომ ამხ. ფაილოძეს კარგად შეუთვისებია წაკითხული მასალა. ვეტფერშალი ამხ. ბახტაძე (ლენინის სახელობის კოლმეურნეობა) ყოველდღიურად მეცადინეობს 2 საათს. ამჟამად იგი სწავლობს სახელმძღვანელოს მეშვიდე თავს.

ცხადია, ამ მოწინავე ამხანაგებთან ერთად არიან ჩამორჩენილებიც, რომლებიც კვლავ პირველ თავს ჩაჰკირკიტებენ. ჩვენთან ლექციურმა მუშაობამ პარტიული პროპაგანდის სისტემაში უკვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. 1 სექტემბრამდე ჩატარებულია 693 ლექცია.

ლექციები ზოგჯერ ჩვენთანაც არაორგანიზებულად ტარდება. მაგალითად, 19 აგვისტოს პარტგანათლების სახლში ამხ. აღამიას ლექციას მხოლოდ 21 მსმენელი დაესწრო.

თეორიულ კონფერენციებს სოხუმში ნაკლები ყურადღება ექცევა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დღემდე მხოლოდ ორჯერ ჩატარდა თეორიული კონფერენცია. ეს კონფერენციებიც ისე ჩატარდა, რომ არავითარი აქტივობა არ სჩანდა. წაიკითხეს ლექცია, აუდიტორია კი... უსმენდა.

ამჟამად აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში პარტისტორიის შემსწავლელი 35 წრე არსებობს, აქედან კადრების ძირეული რგოლისათვის 32 წრე. მთელ რიგ წრეებს აქვთ მუშაობის დადებითი გამოცდილება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „აფხაზკავშირის“ პარტორგანიზაციასთან არსებული წრე, რომლის პროპაგანდისტია ამხ. მონასტირევი.

ჯერ კიდევ არის ისეთი წრეები, სადაც მსმენელთა დაკომპლექტება ცოდნის დონის გაუთვალისწინებლად მოხდა.

პარტიული პროპაგანდის დაყენების უმთავრესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები და საოლქო კომიტეტიც ნაკლებად მსჯელობენ პარტიული პროპაგანდის საკითხებზე.

აქვე უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი მომენტი. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ სექტორში ჯერაც მოუგვარებელია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება, რადგან ინსტიტუტისათვის დღემდე ვერ შევარჩიეთ შესაფერი მასწავლებლები.

ა. ჯიქია

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში

ლექციისადმი ხელმძღვანელობა

პარტიულ პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექციას, ის სამართლიანად არის აღიარებული მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვან მეთოდად. მე მინდა აქ ვილაპარაკო ლექციებისადმი ხელმძღვანელობის საკითხზე. უნდა ვაღიარო, რომ ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლები გამოცდილება გვაქვს. საკმარისი როდია, რომ ლექტორი შეცდომაზე დაიჭირო და შემდეგ დაამუშაო.

ამხ. გობრონიძეს დავავალეთ წაეკითხა ლექცია საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ. ის ამ ლექციას ამზადებდა 20 დღის განმავლობაში. გვეგონა, რომ ლექცია სანიმუშოდ ჩატარდებოდა. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა და ლექტორმა თემის გარშემო ილაპარაკა მხოლოდ 20 წუთი, საკითხი გააშუქა სუსტად. თემა ლექტორის მიერ არ იყო გააზრებული, საკითხებს შორის არ სჩანდა ლოგიკური კავშირი. ლექტორი რომ აუდიტორიის წინაშე „ჩავარდა“, შემდეგ გახდა ეს საკითხი რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად. განა არ შეიძლებოდა ასეთი უხეირო ლექციის თავის დროზე აცილება?

მე მგონია, საჭიროა თვითეული ლექცია მისი საჯაროდ წაკითხვამდე წინასწარ შემოწმდეს ლექტორთა ჯგუფში ან პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში. წინასწარ უნდა დავეხმაროთ ლექტორს და არ ვუცადოთ მომენტს, თუ როდის „ჩავარდება“ ის. უსათუოდ კარგი ნაბიჯი გადადგა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა ლექტორებთან მუშაობის მხრივ. საოლქო კომიტეტის ეს ინიციატივა ყოველმხრივ მოწონების ღირსია. საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მაგალითზე ჩვენ განზრახული გვაქვს რამდენიმე ლექტორის ლექცია განვიხილოთ რაიკომის ბიუროზე და ამით დავეხმაროთ ლექტორს. კერძოდ არსებითად უნდა გავაუმჯობესოთ ლექტორთა ჯგუფის მუშაობაც.

მცხეთის რაიონი ახალი რაიონია და მას განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. არა გვაქვს პარტკაბინეტი. თანხა, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენს რაიონში პარტკაბინეტის მოსაწყობად, სრულიად არ არის საკმარისი.

ი. ბაშარაძე

საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე.

ორგანიზებულად მოვამზადოთ თეორიული კონფერენციები

ის ფაქტი, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელო ქუთაისში 15 ათასი ცალის რაოდენობით გავრცელდა, მოწმობს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების უდიდეს მისწრაფებას—შეისწავლონ ჩვენი პარტიის გმირული წარსული. მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებისადმი დაუცხრომელ ინტერესს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ მოწყობილ 248 ლექციას 14.675 კაცი დაესწრო.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ, რომ ხშირად ლექციები ტარდება დაბალ იდეურ დონეზე. იყო შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ლექტორს ერთი თვის განმავლობაში 5-6 ლექციის ჩატარება უხდებოდა. გასაგებია, როგორი იქნებოდა ლექციის ხარისხი.

ამხ. თავაძემ სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა ზოგიერთი ჩვენი პარტიული და სამეურნეო მუშაკი. მართლაც, არიან ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც არ მეცადინეობენ თავისთავზე. საქალაქო კომიტეტი ხშირად იძულებულია გააჩვენოს ამ ამხანაგებს ლექციებსა და კონსულტაციებზე დასწრება. უკანასკნელ ხანებში ჩვენ მივიღეთ ზომები იმისათვის, რომ ხელმძღვანელი კადრები ესწრებოდნენ ლექციებს და კონსულტაციებს და ასრულებდნენ საწესდებო მოთხოვნას თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლების შესახებ.

ჩვენს ორგანიზაციაში არიან ამხანაგები, რომლებიც ჯერაც არ შესდგომიან პარტისტორიის სახელმძღვანელოს შესწავლას, მაგალითად, გიორგაძე (რიონჰესი), სვანიძე (აბრეშუმის კომბინატი) და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილება თბ. ორგანიზაციის ლენინის რაიონში პარტაქტივის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ, მთლიანად ეხება ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციასაც.

თეორიული კონფერენციები ზოგიერთ ჩვენს საწარმოსა და დაწესებულებაში მოუმზადებლად ტარდება. მაგალითად, აშკარად მოუმზადებლად ჩატარდა თეორიული კონფერენცია აბრეშუმის კომბინატში და ქუთაისის ქალაქის საბჭოშიც.

საგრეხაო ფაბრიკის პარტორგანიზაციამ ამხ. მაჭარაშვილს დაავალა მოხსენების მომზადება 5 დღის განმავლობაში. თეორიული კონფერენციების ორგანიზაციას საკმარის ყურადღებას არ ვაქცევდით, ამ საქმით მაინცდამაინც არც პარტგანათლების სახლის მუშაკები იყვნენ დაინტერესებულნი. ხორცკომბინატში, სადაც 120-მდე კაცი მუშაობს, პარტბიუროს მდივანმა ამხ. შარაბიძემ განაცხადა: „ვინაიდან მომზადებული ძალები არა გვყავს, თეორიულ კონფერენციას ვერ ჩავატარებთო“. მაშინ, როდესაც ხორცკომბინატში იმყოფება 25-მდე ამხანაგი საშუალო განათლებით და რამდენიმეც უმაღლესი განათლებით. ცხადია, რომ აქ სრულიად თავისუფლად შეიძლება ჩატარდეს თეორიული კონფერენცია.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ახლა დასახა ღონისძიებანი თეორიული კონფერენციების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ჩვენი საქალაქო გაზეთი საერთოდ ცუდად არ მუშაობს, მაგრამ პარტიული პროპაგანდის საკითხები აქ მაინც მკრთალად შუქდება. 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე რედაქციაში მიღებული 27 შეკითხვიდან პასუხი გაეცა მხოლოდ ორს.

ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას გააჩნია ყველა პირობა და საჭირო ძალებიც იმისათვის, რომ ბოლშევიკურად მოაწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების პროპაგანდა.

ვ. ლალიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე.

მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ლექციები

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას. დღემდე აჭარაში ჩატარებულია 360 ლექცია, აქედან 27 ლექცია მოეწყო რაიონებში.

თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ლექციები ყოველთვის ვერ ეწყობა მაღალხარისხოვნად. ლექციური მუშაობის ერთერთი სერიოზული ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ექცევა ლექციების თემატიკის შერჩევას, აუდიტორიის მომზადების დონეს და კერძოდ ლექციების ჩატარებას ოქტომბრისშემდგომი პერიოდის საკითხებზე. ჩვენთან ზოგიერთი პარტიული მუშაკი ჯერ კიდევ არ ზრუნავს მუდმივი აუდიტორიის შექმნაზე. ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთ აუდიტორიაზე, რომელიც მუდმივად ესწრება ლექციებს, დამოუკიდებლად სწავლობს ბოლშევიზმის თეორიას. კურსი სწორედ ასეთ მოწინავე ამხანაგებზე უნდა ავიღოთ. ზოგჯერ კი პირიქით ხდება. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ა/წ 16 აგვისტოს დადგენილება სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, ატარებს რა ლექციებს უმთავრესად პარტისტორიის სახელმძღვანელოს პირველი თავების მიხედვით, კურსს იღებს არა მოწინავეებზე, არამედ ჩამორჩენილ ამხანაგებზე.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ გაზ. „კომუნისტმა“ ლექციების ორგანიზაციის საქმეში საგრძნობი დახმარება გაგვიწია.

უკანასკნელ ხანებში ყურადღება გავამახვილეთ ლექციების ხარისხზე. ამასწინათ საოლქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი ორი ჩატარებული ლექციის შინაარსის შესახებ. საოლქო კომიტეტის ამ ღონისძიებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ამოქმედდა ლექტორთა ჯგუფიც. პრაქტიკაში შემოვიდა ლექციების წინასწარ განხილვა ლექტორთა ჯგუფში, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარებაც. პროპაგანდისტთა სემინარმაც გამოაცოცხლა მუშაობა.

საჭიროა პარტიული საზოგადოებრივი აზრი მივმართოთ ისეთ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ საწესდებო მოთხოვნას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დაამყარონ მეთვალყურეობა იმაზე, თუ როგორ ასრულებს კომუნისტი წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობას.

ივ. რუხაძე

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში

თბილისი. რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე.

ფოტო ჩერკასოვისა (საქდესის ფოტო-ქრონიკა).

ვიზრუნოთ მარქსიზმ - ლენინიზმის მასწავლებელთა კადრებზე

მე მინდა შევეხო სამ საკითხს. პირველი — ლექციების შესახებ, მეორე — საქართველოში ფილოსოფიური განათლების შესახებ და ბოლოს, მესამე საკითხი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომების ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ.

ყველასათვის ცხადია, რომ ყოველგვარ ლექციის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ლექტორი, ლექციის ხარისხი განსაზღვრავს აუდიტორიის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ლექციისადმი. ლექცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ ლექტორმა შესძლოს მოიცვას ყველა საკვანძო საკითხი და სათანადოდ გაშალოს მსმენელების წინაშე.

ზოგიერთი ლექტორის ნაკლი იმაშია, რომ მისი ლექცია ძლიერ გაჭიანურებული გამოდის. ლაპარაკობენ ყველაფერზე — ფილოსოფიაზეც, პოლიტეკონომიაზეც, ისტორიაზეც, მაგრამ არა არსებითად საკითხზე. სავალდებულო არ არის ლექტორმა ყველაფერი სთქვას, რაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო მან იცის ან წაუკითხავს. ლექციის ხარისხზე უნდა ვიმსჯელოთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ აშუქებს ის ძირითად, საკვანძო საკითხებს, როგორ აყალიბებს ის ლოგიკურ მსჯელობას, როგორ სწვდება საკითხის სიღრმეს და რამდენად შესძლო მან აუდიტორიის დაინტერესება. შემდეგი ნაკლი ზოგიერთი ლექტორისა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად ისინი ვერ ახერხებენ დაუკავშირონ ლექციის თემა თანადროულობას, გაბედულად დააყენონ თეორიული საკითხები ისე, რომ თვითეული საკითხი წინასწარ მეცნიერულად იყოს მოსაზრებული.

ერთხელ ვესწრებოდი ერთერთი ამხანაგის ლექციას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის კითხულობდა ლექციას პირველი იმპერიალისტური ომის შესახებ. მაგრამ ლექტორს ერთი სიტყვაც არ უთქვამს მეორე იმპერიალისტური ომის შესახებ. მსმენელებმა თვითონ დაიწყეს რეპლიკების მიცემა და ძოაგონებდნენ ლექტორს მეორე იმპერიალისტური ომის შესახებ. მაგრამ მან ყური არ ათხოვა სტუდენტების რეპლიკას და აგრძელებდა ლექციის კითხვას თავისი ჩანაწერების მიხედვით.

ზოგან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ლექციის ორგანიზაციულ მხარეს. ერთხელ ლექციის წაკითხვა მომიხდა ლანჩხუთის რაიონში, მაგრამ რაიკომის მუშაკებმა საჭიროდ არ ჩასთვალეს ორგანიზებულად ჩაეტარებინათ ლექცია. პარტკაბინეტის გამგემ, რომელიც გრძნობდა პასუხისმგებლობას ლექციის ჩატარებისათვის, ასეთ ხერხს მიმართა: დაწყებითი სკოლის მოწაფეები შემოიყვანა ჩემს ლექციაზე. ასეთი აუდიტორიის წინაშე ვკითხულობდი ლექციას მატერიალიზმისა და იდეალიზმის შესახებ. გასაგებია, რა ფასი უნდა ჰქონოდა ასეთ ლექციას.

გადავდივარ მეორე საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ფილოსოფიური ფაკულტეტის გახსნის საკითხი სავსებით მომწიფებულია. ამ მიმართულებით უნივერსიტეტს დიდი ტრადიცია აქვს. იქ ყოველთვის არსებობდა ფილოსოფიური ფაკულტეტი, მაგრამ ხალხის მტრების მავნებლური მუშაობის შედეგად ეს ფაკულტეტი ლიკვიდირებულ იქნა. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობები, რათა უნივერსიტეტთან შევქმნათ ფილოსოფიური ფაკულტეტი თუ არა, განყოფილება მაინც. უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტიც არ არის თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიური ფაკულტეტის გახსნის წინააღმდეგი. პირიქით, ასეთ წინადადებას მოსკოვში მიესალმნენ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ყიფშიძე საკმაო მონდომებას არ იჩენს, რომ ეს საკითხი წინ წასწიოს. მას ალბათ ჰგონია, რომ ამ საკითხს მის მაგივრად სხვა ვინმე მოაგვარებს.

საერთოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამოცემას ქართულ ენაზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. კერძოდ თუ აიღებთ ლენინის გენიალურ შრომას „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს“, ნახავთ: გარდა იმისა, რომ რედაქციის მიერ გაკეთებული შენიშვნები პრინციპული ხასიათის შეცდომებს შეიცავენ, თვით თარგმანიც მეტად უხეიროდ არის შესრულებული. ზოგან გამოტოვებულია მთელი აბზაცი, დამახინჯებულია აზრი. საჭიროა ლენინის ამ გენიალური ნაშრომის ხელახლა თარგმნა და მავნე შენიშვნების ამოღება. საჭიროა აგრეთვე უახლოეს ხანში ითარგმნოს ლენინის „ფილოსოფიური რვეულები“. ამ სამუშაოს შესასრულებლად უნდა შემოვიკრიბოთ საუკეთესო მომზადებული და შემოწმებული ამხანაგები. საერთოდ კი ყველა თარგმანი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა ქართულ ენაზე საფუძვლიან შემოწმებას მოითხოვს. ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს.

ა. ქუთელია

საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე.

საომარი მოქმედება გერმანიასა და საფრანგეთს შორის

ბრიუსელი, 25 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „ტანი“ აღნიშნავს, რომ „გუშინდლიდან მთელი ფრონტის სიგრძეზე გერმანელებმა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი გამოხდომა მოაწყეს, რასაც დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. ამ მოქმედების მონაწილე ჯარის რიცხვი უმნიშვნელო იყო და მტრის ყოველივე ცდა ჩვენ მიერ სროლით იქნა მოგერიებული. სავსებით ცხადია, რომ მტერს სურს შეისწავლოს ჩვენი ჯარის ნაწილების განლაგება და გაიგოს, თუ რას ვაპირებთ“.

პარიზი, 25 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება: „გუშინდელმა სამხედრო ოპერაციებმა საშუალება მისცა საფრანგეთის ჯარს გაეუმჯობესებინა ზოგიერთი თავისი პოზიცია. საფრანგეთის სამხედრო წრეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქმე შეეხება საფრანგეთის არმიის არა დიდ წინსვლას, არამედ თუმცა შეზღუდულს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ოპერაციებს იმით, რომ მათ უზრუნველჰყვეს ფრანგებისათვის სამეთვალყურო პოზიციები მდინარე ბლიზის რაიონში და ჰარდტის მასივზე. საფრანგეთის პასუხმა გერმანიის ოპერაციებზე ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, როგორც ეტყობა, დააბნია მოწინააღმდეგე, რომელიც თავს იკავებდა ყოველგვარი აქტივობისაგან და საარტილერიო სროლას სჯერდებოდა ცვაიბრიუკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. საფრანგეთის არტილერიამ წინ წასწია საარტილერიო პოზიციები აღმოსავლეთით და სროლა აუტეხა გერმანიის სიმაგრეებს ზიგფრიდის ხაზზე.

დღემდე რეინის ნაპირებზე იშვიათად უპასუხებენ ერთმანეთს ზარბაზნის სროლით. დღეს ფრონტის ამ ნაწილის სხვადასხვა პუნქტებში ძლიერი კანონადა სწარმოებდა“.

პარიზი, 26 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო პარიზიდან რადიოთი გადმოგვცემს შემდეგ კომუნიკეს საომარი მოქმედების შესახებ: „26 სექტემბერს დილით გრძელდებოდა მოწინააღმდეგის საარტილერიო სროლა ცვაიბრიუკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გუშინ საფრანგეთისა და გერმანიის ავიაგამანადგურებლებს შორის გაიმართა მრავალი საჰაერო ბრძოლა“.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, რომ საფრანგეთის არტილერია პირდაპირი დამიზნებით უშენს ყუმბარებს გერმანიის სიმაგრეებს მდინარე ლაუტერის რაიონში. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბაზელიდან იუწყება, საარის ფრონტზე ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის ათასობით ჯარისკაცი და ტანკები. მაგრამ, აღნიშნავს სააგენტო, გამოურკვეველია დიდი შეტევის დასაწყისია ეს, თუ მხოლოდ იმის ცდაა, რომ უკან დაიბრუნონ პოზიციები, რომლებიც გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო გასულ კვირას. ინგლის-საფრანგეთის ავიაციამ მიიღო ბრძანება გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის ავიაციის მოქმედებას. იუნაიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, რომ რეინზე, ვისენბურგის რაიონში საფრანგეთისა და გერმანიის არტილერია აქტიურად მოქმედებს. როგორც ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან, ამასწინანდელ საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის უახლესი ავიაგამანადგურებლები და უკანასკნელი მარკის რამდენიმე ყუმბარმშენი, რომელთა სისწრაფე აღემატება გერმანიის ავიაგამანადგურებელთა სისწრაფეს.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი (საკდესი). ინტერნეიშენ ნიუს სერვისის სააგენტო (ჰერსტის სააგენტო) პარიზიდან იუწყება, რომ განახლდა ფრანგების შეტევა დასავლეთის ფრონტზე საარის რაიონში. გერმანიის თვითმფრინავებთან საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ბევრი ავიაგამანადგურებელი. არსებული ცნობების მიხედვით, საფრანგეთის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა გაანადგურეს გერმანიის მრავალი ტანკი.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 26 სექტემბერი (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგი ცნობა:

„აღმოსავლეთში გრძელდებოდა გერმანიის ჯარის გეგმიანი წინსვლა სადემარკაციო ხაზისაკენ. მდინარე სანის ქვედა წელის რაიონის აღმოსავლეთით მოხდა პატარა ბრძოლა პოლონეთის ყოფილი არმიის ნაშთებთან. ამასთან გერმანიის სატანკო დივიზიამ ტყვედ წამოიყვანა 2.000 პოლონელი ჯარისკაცი.

რადგან აქამდე არ მოხერხდა ვარშავის კომენდანტის დარწმუნება, რომ წინააღმდეგობის გაწევა უმიზნოა, გუშინ დაიწყო საომარი მოქმედება ვარშავის წინააღმდეგ. გერმანიის ჯარმა მოულოდნელი იერიშით აიღო მოკოტოვის ფორტი და შემდეგ—მოკოტოვის გარეუბნის ნაწილი.

დასავლეთის ფრონტზე სწარმოებდა საარტილერიო სროლა და სუსტი ზვერვითი მოქმედება. როგორც გამოირკვა, საფრანგეთის თვითმფრინავები გადაფრინდნენ ბელგიის ტერიტორიაზე. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა საფრანგეთის 5 თვითმფრინავი და ორი აეროსტატი. საფრანგეთის ერთი თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო“.

გერმანიის გამოძახილი რეიტერის სააგენტოს ცნობაზე

ბერლინი, 26 სექტემბერი (საკდესი). დღეს ტრანსოცეანის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც უარჰყოფს რეიტერის სააგენტოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ გერმანიას განზრახული აქვს დაიწყოს დასავლეთის ფრონტზე დიდი შეტევა ბელგიისა და ჰოლანდიაში შეჭრის გზით. ტრანსოცეანის სააგენტო მიუთითებს, რომ, როგორც ლონდონმა და პარიზმა, აგრეთვე ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა კარგად იციან, რომ გერმანია პატივსა სცემს არამეომარი ქვეყნების ნეიტრალიტეტს. რეიტერის სააგენტოს ცნობის მიზანია არა მარტო შეშფოთება გამოიწვიოს ნეიტრალურ ქვეყნებში, არამედ კიდეც აამხედროს ისინი გერმანიის წინააღმდეგ. დაჟინება, რომლითაც ინგლისისა და საფრანგეთის წრეები კვლავ ცდილობენ აღძრან ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის საკითხი, ეჭვს ჰბადებს და საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ გერმანიის მოწინააღმდეგეებს თვითონ აქვთ მტრული განზრახვები ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის მიმართ და მხოლოდ საბაბს ეძებენ თავიანთი გეგმების რეალიზაციისთვის.

პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შესახებ

ბერლინი, 25 სექტემბერი (საკდესი). შვეციის გაზეთმა „დაგენს ნიუჰეტერმა“ მოათავსა ცნობა თავისი სპეციალური კორესპონდენტისა, რომელიც ამას წინათ პოლონეთიდან დაბრუნდა.

„სამი კვირის განმავლობაში, — სწერს კორესპონდენტი, — პოლონეთმა გაიარა ისეთი კრიზისი, როგორიც არასოდეს განუცდია არცერთ ქვეყანას ასე მოკლე ხანში. კრიზისი სამხედრო დამარცხებითა და პოლონეთის სახელმწიფოებრივი მანქანის განადგურებით როდი განისაზღვრა; მან უღრმესი მორალური და სოციალური გარდატეხა მოახდინა“.

კორესპონდენტი აღნიშნავს „სრულ დეზორგანიზაციას“, რომელმაც დააჩქარა სახელმწიფოს დაშლა. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველნი, ვინც თავისი ქვეყანა მიატოვა, იყვნენ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი ყველა რანგისა. რღვევა ვერ შეაჩერა თვით უგუნურმა პოლონურმა პროპაგანდამ, რომელმაც თავისი ყვირილით გამარჯვების შესახებ მხოლოდ სრულიად ამაო დიდი მსხვერპლი გამოიწვია. კორესპონდენტმა ლიუბლინშიც კი, სადაც იგი 15 სექტემბერს ჩავიდა, ვერ იპოვნა ოფიციალური წარმომადგენლები. კორესპონდენტი 5 დღეს მოუნდა ლიუბლინს ჩასვლას, თუმცა ჩვეულებრივ დროს ამას სამი საათი სჭირია.

დასტოვა რა პოლონეთი, კორესპონდენტმა გაიგო, რომ პოლონეთის მთავრობას უკვე თავშესაფარი უპოვნია რუმინეთში. საკვები პროდუქტების საერთო ნაკლებობა საგრძნობი გახდა საომარი მოქმედების დაწყებიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი გაოანის დაკავების შემდეგ განაგრძობს შეტევას. იაპონიის ჯარის ცალკეულ რაზმებს, რომელნიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ, უკან ახევინებენ. 23 სექტემბერს ჩინელებმა გაანადგურეს 2 ათასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი ფინსინის დასავლეთით მდებარე რაიონში. იაპონელები გაოან-ფინსინის ფრონტის უბანზე დიდ მაშველ ჯარს ჰგზავნიან.

23 სექტემბერს იაპონელებმა ავიაციის დახმარებით სცადეს გაერღვიათ ჩინეთის თავდაცვის ხაზი მდინარე სინძიანის ჩრდილოეთ ნაწილში და დუნტინხუს ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. იაპონელთა 30 სამხედრო გემმა და 200 ნავმა დესანტი გადასხა დუნტინხუს ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. იაპონელთა 13 ყუმბარმზიდი ეხმარებოდა დესანტის გადასხმას. ჩინეთის ჯარმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს და უკანასკნელნი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ დიდი ზარალით.

ჩინელთა არტილერიამ ჩასძირა იაპონიის ჯარისკაცთა ტრანსპორტი, რომელიც მდინარე იანძიზე მიდიოდა, ანხუეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლაა ჯანძის რაიონში. იაპონელები სასწრაფოდ ჰგზავნიან იქ დამხმარე ჯარს.

ცუნდუნ-ტუნლიუს გზატკეცილის რაიონში 3 ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი შეტევას აწარმოებს ჩინელთა პოზიციების წინააღმდეგ. მაგრამ იაპონელებს აქ წარმატება არ აქვთ.

სამხრეთ ჩინეთში

23 სექტემბერს იაპონიის ჯარმა დამხმარე ძალა მიიღო კანტონიდან და განაახლა შეტევა ჩინეთის პოზიციებზე შიცის (კანტონის სამხრეთით) აღმოსავლეთ მიდამოებში.

24 სექტემბერს იაპონიის საზღვაო ქვეითი ჯარი ცდილობდა გადმოსულიყო ფუჯოუს სამხრეთით ფუცინის რაიონში (ფუძიანის პროვინცია). ჩინეთის ჯარმა უკუაქცია იაპონელთა დესანტი.

მოსციცკის გადადგომა

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბუქარესტელი კორესპონდენტი, იმოწმებს რა ავტორიტეტულ პოლონურ წრეებს, იუწყება, რომ მოსციცკი ალბათ გადადგება და პრეზიდენტის პოსტს შესთავაზებს პადერევსკის.

რომი, 26 სექტემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ „პოლონეთის პრეზიდენტი მოსციცკი, რომელიც ინტერნირებულია რუმინეთში, გადადგება, ხოლო თავის პოსტს გადასცემს პიანისტ პადერევსკის“.

ამერიკელი ჟურნალისტი პანების პოლონეთის დანგრევის გარდუვალობის შესახებ

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი (საკდესი). გერმანია - პოლონეთის ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკის „საგარეო პოლიტიკის ასოციაციის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა რაიმონდ ბუელმა გამოსცა წიგნი პოლონეთის შესახებ. ამ წიგნში ბუელი ხაზგასმით აღნიშნავდა პოლონეთის შინაგან სისუსტეს. ეხებოდა რა პოლონეთის გლეხობის სიღატაკეს, ბუელი სწერდა: „პოლონელი გლეხები იმდენად ღარიბნი არიან, რომ ხორცს თითქმის სრულიად არ სჭამენ, გარდა საზაფხულო მიწის მუშაობის პერიოდისა, როდესაც მამაკაცები და ქალები ყოველ დღეღამეში 12-15 საათს მუშაობენ მინდვრად“.

ბუელი განსაკუთრებით აღნიშნავს მიწის საკუთრების კონცენტრაციას პოლონეთში. 2 მილიონზე მეტ გლეხურ ოჯახს, — სწერს იგი, — სულ მცირე მიწის ნაკვეთები ჰქონდა მაშინ, როდესაც 19 ათასი პოლონელი მემამულე მთელი დასამუშავებელი მიწის 43 პროცენტს ჰფლობდა.

პოლონეთში, სწერდა ბუელი, ნაციონალურ უმცირესობათა ფენა მეტია, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში. თუ პოლონეთის სახელმწიფომ ვერ მოიპოვა ლოიალური დამოკიდებულება თუნდაც ზოგიერთი ამ ჯგუფის მხრივ, ეს ნაციონალური ჯგუფები შესაძლოა პოლონეთის სისუსტის წყარო გახდნენ ომის დროს.

თუ XIX საუკუნეში უკრაინული ნაციონალური მოძრაობა მოდებული იყო უმთავრესად ინტელიგენციის წრეებში, — სწერს შემდეგ ბუელი, — ახლა უკრაინული ნაციონალური მოძრაობა უკვე მოდებულია მოსახლეობის ფართო მასებში, რომლებიც იტანჯებიან სიღატაკის გამო; ამ სიღატაკის გადასალახავად პოლონეთის მთავრობას არაფერი გაუკეთებია.

პოლონეთის ხელისუფალთა ანტისემიტიზმს მხარს უჭერდნენ სასამართლოები, კათოლიკური სამღვდელოება და თვით მთავრობა. პოლონეთში 3 მილიონ 300 ათასი ებრაელი ცხოვრობს. მათ შორის სულ მცირე 50 პროცენტი სულს ჰლაფავს შიმშილით. მათი მდგომარეობა თვით დაბეჩავებულ პოლონელ გლეხთა მდგომარეობაზე უარესია, რადგან ებრაელებს საშუალება არა აქვთ ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას.

ბუელის წიგნი ივნისში გამოქვეყნდა. ბუელი სწერდა, თუ ომი ატყდა და იმ დროისათვის პოლონეთმა ვერ მიაღწია თავისი მოსახლეობის კონსოლიდაციას, მაშინ პოლონეთი შეიძლება სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდესო.

ბულგარეთის პრესა დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში არსებული მდგომარეობის შესახებ

სოფია, 25 სექტემბერი (საკდესი). ბულგარეთის პრესა ყოველდღიურად აქვეყნებს ცნობებს, თუ რა მდგომარეობაა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის წითელი არმიის მიერ დაკავებულ რაიონებში. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ დიდ აღფრთოვანებას, რომლითაც უკრაინელი და ბელორუსი მოსახლეობა ეგებება წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს. გაზეთები აღნიშნავენ, თუ რა სწრაფად დამყარდა წესრიგი და მშვიდობიანობა წითელი არმიის მიერ დაკავებულ რაიონებში, დაწვრილებით აღწერენ ამ რაიონებში ჩატარებულ ღონისძიებებს. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ყველა საწარმო, კოლმეურნეობა, საზოგადოებრივი, კულტურული და სამეცნიერო ორგანიზაცია და დაწესებულება აქტიურად ეხმარება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას ახალი ცხოვრების მოწყობაში.

ინდოეთიდან საქონლის ექსპორტის მომავალი შეზღუდვა

ლონდონი, 24 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სიმლიდან იუწყება, რომ უახლოეს ხანში ინგლის-ინდოეთის მთავრობა გასცემს განკარგულებას იმის შესახებ, რომ ინდოეთიდან ყველა საქონლის ექსპორტზე იმ ქვეყნებში, რომელნიც ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში არ შედიან, გაიცემა ლიცენზიები.

საქონელი თავისუფლად გაიტანება ამერიკის ყველა ქვეყანაში, აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთსა და იაპონიაში, აგრეთვე საფრანგეთში, პორტუგალიაში, თურქეთსა და ეგვიპტეში. ევროპის ნეიტრალური ქვეყნებისათვის ლიცენზიების გაცემა განსაზღვრულ იქნება ამ ქვეყნებში „ნორმალური“ ექსპორტის ოდენობით. იმ საქონლის სიაში, რომლის ექსპორტზედაც შემოღებულ იქნება ლიცენზიები, შედის: ბამბა, მატყლი, ნედლი ტყავი, მოქნილი ტყავი, ქარსი, კაუჩუკი, მარგანეცის მადანი, აბუსალათინის ზეთი, ქოქოსის ზეთი, ზეთოვანი კულტურების თესლი და სხვ.

ამუშავდა აგარის ქარხანა

26 სექტემბერს ამუშავდა აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხანა.

ქარელის რაიონში ჭარხლის ამოღება-გადაზიდვის გეგმა წარმატებით სრულდება.

აგარის ქარხნის მუშაკთა კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას გადაამუშაოს მიმდინარე წლის ჭარხლის უხვი მოსავალი და ქვეყანას მისცეს 1.116 ათასი ფუთი მაღალხარისხოვანი შაქარი.

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი **იაკობიძე**

აგარის ქარხნის დირექტორი **საყვარელიძე**

აჭარამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ბათუმი, 26 სექტემბერი (ტელეგრაფით). აჭარის ასს რესპუბლიკამ აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 34.342 კილოგრამი პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34.000 კილოგრამისა.

მესამე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 442 პროცენტით. პარკის დამზადება გრძელდება.

აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე **ჩიხლაძე**

აბრეშუმტრესტის აჭარის განმგე **გოგუაძე**

ჩაის ფოთლის დამზადება

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

(„საქჩაის“ 25 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ტონობით	მიკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.705	1.628,5	95,5	88,8
ქობულეთი	7.848,6	7.516,5	95,8	98
გალი	3.128	3.377,8	108	83,4
ოჩამჩირე	1.793	1.786	99,6	81,6
სოხუმი	14	14,3	102,1	50
გუდაუთი	16	27,2	170	50
მახარაძე	10.011	9.759	97,5	83,5
ჩოხატაური	1.253	1.292,2	103,1	65,2
ლანჩხუთი	3.350	3.270,1	97,6	81
სამტრედია	261	287,2	110	89,4
წულუკიძე	1.151	1.211,6	105,3	72,5
ქუთაისი	1.328	144,9	109,1	59,4
წყალტუბო	184,2	215,9	117,2	72,9
ტყიბული	510	459,1	90	67,6
ცხაკაია	929	1.036,9	111,6	66,6
გეგეჭკორი	2.626	2.317	88,2	67,9
ზუგდიდი	4.881,4	5.000,5	102,4	53,3
წალენჯიხა	1.618	1.584,1	97,9	61,2
ჩხოროწყუ	1.302	1.317,4	103,5	70,5
ხობი	386	387,3	100,3	77,8
სულ	**43.100**	**42.663,5**	**99**	**78,9**

○

საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით. ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე შეასრულეს სალიბაურის, ოჩხამურის, ნასაკირალის, წულუკიძის, ლესიჭინის, აჩიგვარის და კოდორის საბჭოთა მეურნეობებმა.

ამხ. გრიზოდუბოვას და ვოდოპიანოვის შეხვედრა სოხუმელ მშრომელებთან

სოხუმი, 26 სექტემბერი (საკდესი). 25 სექტემბერს საღამოს სახელმწიფო თეატრში შესდგა საბჭოთა კავშირის გმირების ვოდოპიანოვისა და გრიზოდუბოვას შეხვედრა სოხუმელ მშრომელებთან; შეხვედრა მიძღვნილი იყო ლეგენდარული თვითმფრინავის „როდინას“ გმირული გადაფრენის წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმებიან სოციალიზმის ქვეყნის ამაყ შავარდნებს.

თვითმფრინავ „როდინას“ გადაფრენის შესახებ მოგონებით გამოვიდა ვალენტინა გრიზოდუბოვა. მან აღფრთოვანებით უამბო დამსწრეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულეს საბჭოთა მფრინავმა ქალებმა პარტიისა და მთავრობის დავალება.

— ეს დავალება, — გადაფრენა ჩვენი სამშობლოს შუაგულ მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში ამურის ნაპირებისაკენ, — სთქვა ამხ. გრიზოდუბოვამ, — ჩვენ იმიტომ შევასრულეთ, რომ ამ გმირობისათვის დიდი სტალინი გვაფრთოვანებდა.

ეს სიტყვები ტაშის გრიალმა დაჰფარა.

— ჩვენ მარტონი როდი ვიყავით, — განაგრძობს ამხ. გრიზოდუბოვა, — მთელი საბჭოთა ხალხი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ჩვენს გადაფრენას. მაგონდება შესანიშნავი ადამიანები, რომელთაც შეხვდით შორეულ აღმოსავლეთში, მთელს გზაზე მოსკოვამდე.

ჩვენმა მთავრობამ, — სთქვა დასასრულ ამხ. გრიზოდუბოვამ, — ძმური დახმარების ხელი გაუწოდა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ხალხებს.

— განა არ აღელვებს ადამიანს ამის შეგნება და იმ მოძმე ხალხთა სასიხარულო ზეიმის დანახვა, რომლებმაც ახალი სამშობლო და თავისუფლება, ბედნიერი ცხოვრება მოიპოვეს. ჩვენ, რომელნიც გმირები გავხდით, მზად ვართ ჩვენი სამშობლოს სასახელოდ ახალი და ახალი გმირობა ჩავიდინოთ.

კრებაზე გამოვიდა მიხეილ ვოდოპიანოვი, რომელმაც სოხუმელ მშრომელთ გადასცა პოლარელ მფრინავთა მგზნებარე ბოლშევიკური სალამი და უამბო ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენის გმირული ეპოპეის შესახებ. მისი ნაამბობი იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა პოლუსი დაიპყრეს, შეკრებილებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, როგორც წარმტაცი ზღაპარი. ამხ. ვოდოპიანოვს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშით, როცა იგი სტალინური მფრინავებისა და სახელოვანი პაპანინელების გმირობის შესახებ ლაპარაკობდა.

სოხუმის ახალგაზრდობის სახელით გმირებს მიესალმნენ კომკავშირის საოლქო კომიტეტის პიონერთა და მოსწავლეთა განყოფილების გამგე ამხ. პავლოვა, ინტელიგენციის სახელით — დამცველთა კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. აკირტავა. პოეტმა გიორგი გაბუნიამ ქართულ ენაზე წაიკითხა გმირ მფრინავებისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი.

დასასრულს გაიმართა აფხაზურ-ქართული გუნდის კონცერტი.

სომხური დრამა ახალ სეზონში

მიმდინარე წელს თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრს განზრახული აქვს მაყურებელს უჩვენოს ექვსი ახალი დადგმა: უ. შექსპირის — „ოტელო“, შ. გერგელისა და ო. ლიტოვსკის — „ჩემი ვაჟი“, გ. სუნდუკიანის — „კიდევ ერთი მსხვერპლი“, ეკატერინე ბალათურის — „თონდრაკიელები“, ა. გულაკიანის—„დიადი მეგობრობა“ და ტ. ახუმიანის—„ხალხის მტერი“.

ძველი დადგმებიდან განახლებული იქნება შ. დადიანის—„ნაპერწკლიდან“, ა. მ. გორკის—„მტრები“, გ. სუნდუკიანის — „პეპო“, ა. ოსტროვსკის—„უდანაშაულო დამნაშავენი“, ნ. გოგოლის—„ქორწინება“, ა. პირონიანის—„ძია ბაღდასარ“, გ. ქოჩარიანის—„ბრმა მუსიკოსი“, ს. კლდიაშვილის—„გმირთა თაობა“ და სხვ.

თეატრის სეზონი გაიხსნება 29 სექტემბერს.

სიმფონიური კონცერტი სოხუმში

საქართველოს სახ. ფილარმონია 26 და 27 სექტემბერს სოხუმის საქალაქო პარკში გამართავს სიმფონიურ კონცერტს ა. გვეღესიანის დირიჟორობით. პროგრამაშია ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

სასამართლო

სპეკულანტ ი. კანანოვის საქმე

ივანე ზაქარიას-ძე კანანოვს დღემდე იცნობდნენ, როგორც პენსიონერს. პენსიონერის შირმას ამოფარებულმა კანანოვმა, რომელიც 6 თვეზე მეტია არსად მუშაობდა, საბჭოთა ხალხის მიერ ადრევე დაგმობილ სპეკულაციას მიჰყო ხელი.

— ბიჭო გიორგი,—ხშირად ეუბნებოდა თავის ხელოსან ძმას—ხომ ხედავ სახლში აღარ მეტევა აუარებელი მანუფაქტურა, თუ ვინმე „სანდო“ პიროვნება შეგხვდეს, მოასწავლე, რასაც უნდა მივყიდი.

მართლაც, რას არ ნახავდით მის ბინაზე: მამაკაცის ფეხსაცმლის დიდ პარტიას, თეთრეულს, ჩითებს, ქალისა და კაცის წინდებს, შალეულს, აბრეშუმის ქსოვილს და სხვ. მიდიოდა დღეები და არხეინად ვაჭრობდა კანანოვი, როგორც ძველი დროის „ბაზაზი“.

თვენახევრის წინათ მას დეფიციტიური საქონლის გაყიდვაზე წაასწრეს და დააპატიმრეს. გაჩხრეკისას სახლში აუარებელი საქონელი აღმოუჩინეს.

— რასა ბრძანებთ,—ეუბნებოდა კანანოვი მილიციის მე-13 განყოფილების მუშაკებს,—სპეკულაციას როგორ გავწევ, მე ხომ პენსიონერი ვარ, განა საბჭოთა ხელისუფლების კანონებს დავარღვევ!

მილიციის „გულკეთილმა“ მუშაკებმა დაუჯერეს მას და კანანოვი გაანთავისუფლეს. ამით გათამამებული კანანოვი უფრო შორს წავიდა. მაღაზიებიდან რაღაც ხრიკებით ყოველდღიურად გამოჰქონდა სამრეწველო საქონელი და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა გულუბრყვილო მოქალაქეებზე. კანანოვის აღვირახსნილობა არ გამოეპარათ პატიოსან მომხმარებლებს. მათ ამის შესახებ აცნობეს სათანადო ორგანოებს, და კანანოვი დაპატიმრებულ იქნა. მასთან ერთად პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა მისი ძმა გიორგი კანანოვი, რომელიც ჰფარავდა თავის სპეკულანტ ძმას.

თბილისის ბერიას სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ხიზანიშვილის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებელ რაიპროკურორ დ. ჯიბლაძის მონაწილეობით 22 სექტემბერს გაარჩია ბრალდებულ ივანე ზაქარიას-ძე კანანოვის საქმე. სისტემატური სპეკულაციისათვის და საბჭოთა ვაჭრობის კანონის დარღვევისათვის სასამართლომ ი. კანანოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ჩამორთმეული სამრეწველო საქონლისა და პირადი ქონების კონფისკაციით. ხოლო მის ძმას, გიორგი ზაქარიას-ძე კანანოვს, რომელიც ჰფარავდა სპეკულანტ ძმის მოქმედებას და ხელს უწყობდა ამ საქმეში—1½ წლით პატიმრობა. მაგრამ, სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ გ. კანანოვი არის ხელოსანი და წვრილშვილის პატრონი, ხოლო წინათ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული, წლინახევრის პატიმრობა შეუცვალა ერთი წლის იძულებითი მუშაობით.

ა. ს.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი

საქ. ოპერეტის თეატრის წარმოდგენა
27 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 121
უკანასკნელად
მარიცა მუს. კომ. 3 მოქმ.
28 სექტემბერს
მუდ. ადგ. ტალ. № 122, 123
პერიკოლა მუს. კომ. 4 მოქმ.

29 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 124
უკანასკნელად
ცისფერი მაზურკა მუს. კომ. 3 მოქმ.
სამხ. ხელმძღვ. ა. ნ. **ოლგარი**
დასაწყისი საღ. 9 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 საათ. 3 საათ. 6 ს. 11 საათ.

27, 28 სექტემბერს
ხმოვანი კინოფილმი დასაწყისი 10 საათზე.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

განცხადებების მიღება კინომსახიობთა სკოლაში
გაგრძელებულია 1939 წლის 15 ოქტომბრამდე,
საღამოს 6 ს. 10-მდე.
კამოს ქ. № 52.
385 **დირექცია.**

თბილისის სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
ასპირანტურაში შესასვლელად შემდეგ სპეციალობაზე:
1. პათოლოგიური ანატომია
2. პათოლოგიური ფიზიოლოგია

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს უმაღლესი განათლების მიღების და სტაჟის საბუთი, დახასიათება და ორი ფოტოსურათი. ასპირანტურაში შემსვლელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა თავის სპეციალობაში, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, რუსულ და ერთერთ უცხო ენაში.

გამოცდა იწარმოებს 1 ოქტომბერს საღამოს 7 საათიდან ინსტიტუტის შენობაში — მარის ქუჩა № 17.

100 საქ. ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი დოც. **ნ. მეახი.**

საკავშირო კანტორის „რეზინოსბიტის“ საქართველოს განყოფილება

აცხადებს საქ. სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა ორგანიზაციის, საწარმოს და დაწესებულების საყურადღებოდ, რომ განაცხადთა მიღება სამრეწველო ტექნიკის რეზინა-ასბესტის ნაწარმზე 1940 წლისათვის სწარმოებს განყოფილებაში ა. წ. 20 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე

აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია „რეზინოსბიტის“ მიერ მიღებული აღარ იქნება.

განაცხადის ფორმა

№№ რიგზე	ნაწარმის დასახელება	ზომის ერთეული	ოდენობა	რაოდენობა 1940 წლისათვის

754 **ადმინისტრაცია.**

ცირკის ახალი სეზონი

12 ოქტომბერს იხსნება თბილისის სახელმწიფო ცირკის 1939-40 წლის სეზონი. დამტკიცებული პროგრამის მიხედვით ცირკის სეზონი საინტერესო უნდა იყოს. პროგრამის პირველი ციკლი ძველ შენობაში ჩატარდება, ხოლო მიმდინარე წლის დასასრულს ცირკის წარმოდგენები გაიმართება ახლად აგებულ შენობაში (საბჭოთა კავშირის გმირების მოედანთან).

მიმდინარე წელს თბილისში მოწვეული არიან საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები. მოეწყობა იუმორისტ-კლოუნების, მუსიკალური ექსცენტრიკოსების, ცხოველთა მწვრთნელების, აკრობატების ჯგუფური, ინდივიდუალური და საატრაქციონო გამოსვლები.

კონსერვატორიის ახალი დარბაზი

დასასრულს უახლოვდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, რომლის პროექტი დამუშავებულია არქიტექტორების შ. თავაძისა და ვ. ურუშაძის მიერ. დარბაზი 14.000 კუბ. მეტრის მოცულობისა იქნება და დაიტევს 800 მაყურებელს. დარბაზს ექნება ორსართულიანი ფოიე, ფართო ვესტიბულები, ტანსაცმლის გასახდელი და ბუფეტი. საინტერესოა სცენის აკუსტიკა, რაზედაც მუშაობს პროფ. დიდებულიძე. სცენაზე გაკეთებული იქნება საკუსტიკო უბეები, რომლებიც საჭიროების მიხედვით გააძლიერებენ და შეამცირებენ ხმას.

დარბაზში დადგმული იქნება ორგანი.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტული სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი წინადადებას აძლევს ამხანაგებს: სოლომონ ილიას-ძე მაღრაძეს—პ/ბ № 1548021, ვასილ დიმიტრის-ძე კობაიძეს—პ/ბ № 1548064, ანდრო დავითის-ძე ლოლაძეს—პ/ბ № 2856993, ბიკენტი სტეფანეს-ძე გურგენიძეს—საკ. ბარ. № 1683600 და გერასიმე სოლომონის-ძე გაბარაევს—საკ. ბარ. № 1673994 სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502943—ნიკოლოზ ვასილის-ძე ბასმანოვის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2839394—თედორე ალექსანდრეს-ძე კარსანოვის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათები № 1684684—ილია ბესარიონის-ძე ზაქრაძის და № 1684672—მიხეილ ფრიდონის-ძე ხვთისაურიშვილის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: ოპერა—ტოსკა (ტალ. № 4), რუსთაველი—მთაგრეხილზე (ტალ. № 7).

კინოებში: რუსთაველის სახ.—მთის მარში, ოქტომბერი—კატერინა, დამკვრელი (საზ.)—კაპიტან გრანტის შვილები, დამკვრელი (ზამთრ.)—ცხარე დღეები, კომკავშირელი (საზ.)—მთის მარში, კომკავშირელი (ზამთრ.)—მთის მარში, სპარტაკი—ვაჟკაცობა, რ. ლუქსემბურგის სახ.—მტკიცე ხასიათის ქალიშვილი, 26 კომ. სახ.—ლენინი 1918 წელს, კომინტერნი — უკანასკნელი მასკარადი, ს. ორჯონიკიძის სახ. კ. დ. ც. პ.—ვოლგა, ვოლგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

23 სექტემბერს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა 12 წლის **რეზო ლევანის-ძე დულაშვილი**. აცვია ძველი თეთრი უკრაინკა, მოკლე მუქი რუხი შარვალი. აქვს ცისფერი წვრილი თვალები. ენა ებმის; დამწვარი აჩნევია თითქმის ნახევარ წელზე. ნახველს ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ქობულეთის ქ № 23, ლევან დულაშვილს.

მეუღლე ასმათ, შვილი რეზიკო, მშობლები ოლღა, ისიდორე, ძმები ილია, კოლია, ბიძა სერაპიონ სირაძეები იუწყებიან
გიორგი ისიდორეს-ძე სირაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/IX ქ. მახარაძეში. 3231

გრიგოლ, დესპინე, შოთა, ირა ძიძიგურები იუწყებიან დედის, დედამთილის და ბებიის
მენიკო სტეფანეს-ასულ ძიძიგურის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/IX ქ. ცხაკაიაში. 3224

გიორგი, ლავრენტი, ნუცა, ლუბა ძიძიგურები, თამარ, პარმენ კუკავები, ვერა, აბესალომ ნოდიები, ნუცა, კაკო ჩილოჩავები იუწყებიან საყვარელი ბებიის
მენიკო სტეფანეს-ასულ ძიძიგურის
გარდაცვალებას. 3224

ძმა ილია, რძალი დესპინე რატიანები შვილებით ქეთევანით, სონიათი, აკაკით, მოსეთი და თინათი იუწყებიან
ლიზა თათეიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/IX 5 ს. გოგოლის, 48. პანაშვიდი 27/IX, 7 ს. 3225

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მარის სახ. ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება
თამარ ნიკოლოზის-ასულ ნიკოლაძე-მუსხელიშვილის
გარდაცვალებას. 3226

დედა მინა, მეუღლე მარა, ძმები აკაკი და ივსიხი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 30/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას
ლადო (ვლადიმერ) ნიკოლოზის-ძე ცინცაძის
პანაშვიდი. 3228

საქ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის თანამშრომლები წულუკიძე, კაკაბაძე, თუმანიშვილი, ლორთქიფანიძე, ყიფშიძე, ყველიშვილი, გალდავა, მექანარი, გალსტიანი, მაჭარაშვილი, ჯანელიძე თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს მუსხელიშვილს და პროფესორ ნიკოლაძეს
თამარ ნიკოლაძე-მუსხელიშვილის
გარდაცვალების გამო. 3232

შვილები მართა, ევა, იოსებ, ნესტორ, ანიკო, სიძეები ა. შავგულიძე, გ. ჩიკურიშვილი, რძალი, შვილიშვილები გოგი, ვაჟა, ირმა, გულიკო იუწყებიან
გიორგი (გოგა) იოსების-ძე კორკოტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში. 3230

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ-ბ მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—639